F750/F2434

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 50 (11054)
შაბათი
1
მარტი
1958 წ.
ფასი 20 კაპ.

**კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, აქვეყნებს რა ამ თეზისებს, მოუწოდებს საბჭოთა ხალხს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის [illegible] განხილვასა და შემუშავებაში, რათა გამოინახოს ყველაზე სწორი გადაწყ[illegible] რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.**

# საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ

## თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

## I.

### სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი შედეგები

1. საბჭოთა ქვეყანა მიდის ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის, მეცნიერებისა და ტექნიკის აყვავების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების გზით. სწრაფი ტემპებით ვითარდება სოციალისტური მრეწველობა და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრია. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ, რაც ამ უკანასკნელ ხანს განხორციელდა, აამოქმედა წარმოების უდიდესი რეზერვები, გაზარდა მშრომელთა უფართოესი მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა, შექმნა ახალი ეტაპი ჩვენი ინდუსტრიისა და ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა მტკიცედ განხორციელების შედეგად ჩვენმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ მოკლე ვადაში გადალახა არსებული ჩამორჩენა და მოიპოვა დიდი წარმატებანი. ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების უდიდესი მასივების ათვისების მეოხებით დიდი ნაბიჯი გადაიდგა მარცვლეული მეურნეობის განვითარებაში, რომელიც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. უკანასკნელ წლებში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები მეცხოველეობის დარგში. მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივით გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო მოძრაობა, იმ ამოცანის გადაჭრისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის საფუძველზე იზრდება ნაციონალური შემოსავალი, უმჯობესდება მშრომელთა ცხოვრების პირობები, ფართოდ გაჩაღდა საბინაო მშენებლობა. მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოებისათვის პარტიის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო მათი ეკონომიკისა და კულტურის კიდევ უფრო სწრაფი ზრდა, გამოიწვია სსრ კავშირის ხალხთა კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირება, მათი ურღვევი მეგობრობის განმტკიცება. ახლა საბჭოთა კავშირი არის მშვიდობის მძლავრი ბურჯი, მოწინავე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის საყოველთაოდ აღიარებული უმნიშვნელოვანესი ცენტრი, თავისი თვალსაჩინო აღმოჩენებით მას უდიდესი წვლილი შეაქვს მსოფლიო პროგრესის საქმეში.

კომუნისტური პარტია, თანმიმდევრულად ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მთელი საბჭოთა ხალხის ღონისძიებებს წარმართავს კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესასრულებლად. ჩვენი პარტიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მუდამ მხარდამხარ მიჰყვება ცხოვრებას, მჭიდროდ დაკავშირებულია მშრომელთა უფართოეს მასებთან, სრულ გასაქანს აძლევს ხალხის ინიციატივასა და აქტივობას, აღმშენებლობით შემოქმედებას. ჩვენი პარტიის ძალა იმაშია, რომ, ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, მას განვითარების ყოველ ახალ ისტორიულ ეტაპზე უნარი შესწევს გამონახოს ის მთავარი რგოლი, რომლისთვისაც ხელის ჩაჭიდებით შეიძლება წარმატებით გადავწყვიტოთ კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის წინსვლის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

სსრ კავშირის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიური მშენებლობის დარგში მრეწველობის მართვის გარდაქმნის შემდეგ პირველ პლანზე დგება, როგორც უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი სახალხო-სამეურნეო ამოცანა — საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. ამ ამოცანას მტკიცედ აყენებს საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკა, იმის აუცილებლობა, რომ კიდევ უფრო დიდი გასაქანი მივცეთ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებას, შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე.

2. სოფლის მეურნეობის განვითარების, სოციალისტურ საწყისებზე მისი გარდაქმნის საკითხები მუდამ იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში. კომუნისტური მშენებლობის პროგრამაში, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის გეგმასთან ერთად უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს კოოპერაციულ გეგმას, რომელმაც დასახა სოციალიზმის მშენებლობაში მშრომელ გლეხთა მრავალმილიონიანი მასების ჩაბმის ერთადერთი სწორი გზა, მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნის გზა.

გენიალური ლენინური კოოპერაციული გეგმა იმას ემყარებოდა, რომ მსხვილ სოციალისტურ სოფლის მეურნეობაზე გადასვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე, რომ მშრომელ გლეხობას სოციალიზმში შესვლა შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასთან კავშირით, მისი ხელმძღვანელობით.

ახორციელებდა რა ლენინურ კოოპერაციულ გეგმას, კომუნისტურმა პარტიამ მოამზადა და მოაწყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, რომელსაც მოჰყვა საკოლმეურნეო წყობილების შექმნა, მიწათმოქმედებაში წარმოების ახალი, სოციალისტური წესის დამკვიდრება. ეს იყო დიდი ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება, რადგან მან საშუალება მოგვცა წარმატებით გადაგვეჭრა სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა. მილიონობით უღარიბესი გლეხი და მოჯამაგირე განთავისუფლებულ იქნა კულაკური კაბალისაგან, სიღატაკისა და უმეცრებისაგან. მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე ლიკვიდირებულია კულაკობა როგორც კლასი, საბჭოთა სოფელში სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრებით მშრომელი გლეხობა გამოვიდა ახალი ცხოვრების მშენებლობის ნათელ გზაზე. წვრილი გლეხური მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა შესაძლებელი გახდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განხორციელების, ტრაქტორებით, კომბაინებით და სხვა თანამედროვე მანქანებით სოფლის მეურნეობის აღჭურვის მეოხებით. სოფლად სოციალიზმის გამარჯვებამ ცხადყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის დიადი სასიცოცხლო ძალა, კიდევ უფრო განამტკიცა ეს ურღვევი კავშირი.

3. საკოლმეურნეო წყობილების შექმნა და განმტკიცება ჩვენი პარტიის ლენინური გენერალური ხაზის გამარჯვებაა. 25 მილიონი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის ადგილას, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ოცდაათი წლის წინათ არსებობდა, საბჭოთა კავშირში შეიქმნა მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არის დაახლოებით 78 ათასამდე კოლმეურნეობა, 8 ათასი მტს-ი და 5.800 საბჭოთა მეურნეობა.

სოციალისტურმა გარდაქმნებმა სოფლის მეურნეობაში და თანამედროვე ტექნიკით მისმა აღჭურვამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვან დარგში. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია რამდენჯერმე გაიზარდა. თუ 1932 წელს, თავისი არსებობის დაწყებითს პერიოდში, კოლმეურნეობებმა საბჭოთა სახელმწიფოს ჩააბარეს 800 მილიონ ფუთზე ცოტა მეტი პური, 1956 წელს მათ ჩააბარეს 2 მილიარდ 370 მილიონი ფუთი; ბამბა 1932 წელს — 1 მილიონ 162 ათასი ტონა, ხოლო 1957 წელს — 3 მილიონ 780 ათასი; შაქრის ჭარხალი შესაბამისად — 4 მილიონ 198 ათასი და 37 მილიონ 264 ათასი ტონა; ხორცი — 136 ათასი ტონა და 2 მილიონ 909 ათასი ტონა, რძე — 746 ათასი და 13 მილიონ 79 ათასი ტონა; მატყლი — 19 ათასი და 170 ათასი ტონა, კარტოფილი და ბოსტნეული ჩაბარებულია ერთიორად მეტი. სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მსხვილ სოციალისტურ საწარმოებს წარმოადგენენ. თუ 1932 წელს საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული კულტურების საერთო ნათესი ფართობი შეადგენდა 7,9 მილიონ ჰექტარს, 1957 წელს იგი გაიზარდა 35,5 მილიონ ჰექტარამდე. საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა უკანასკნელ წლებში ბევრად გაიზარდა. საბჭოთა მეურნეობებში თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის მთელი ნათესი ფართობის მეოთხედზე მეტი და მარცვლეული კულტურების მთელი ნათესების თითქმის 30 პროცენტი. 1956 წელს მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეულის წარმოება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება 1953 წელთან შედარებით ხუთჯერ გადიდდა. გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობა სხვა სახეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო დამზადებაშიც. სახელმწიფოს მიერ მთელი დამზადებული და შესყიდული ხორცის 21 პროცენტი, ღორის ხორცის 32 პროცენტი, რძის 21 პროცენტი და მატყლის 27 პროცენტი 1957 წელს საბჭოთა მეურნეობებმა ჩააბარეს.

საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის მეოხებით შეიქმნა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თუ 1932 წლის დამდეგისათვის სსრ კავშირის მთელ სოფლის მეურნეობაში იყო 148 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაანგარიშებით), 14 ათასი სატვირთო ავტომობილი, 14 ათასი მარცვლეულის კომბაინი, ამჟამად არის დაახლოებით 1 მილიონ 700 ათასი ტრაქტორი, 660 ათასი სატვირთო ავტომობილი და 450 ათასზე მეტი მარცვლეულის კომბაინი.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა კოლმეურნე გლეხობის ცხოვრების დონე, კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი რევოლუციამდელ რუსეთში მშრომელ გლეხთა შემოსავალთან შედარებით ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით შესადარ ფასებში გადიდდა ოთხჯერ, ხოლო სახელმწიფოს ხარჯზე უფასო სწავლებისა და მკურნალობის, დახმარებისა და სხვა შემწეობის და შეღავათების გათვალისწინებით — ექვსჯერ. ახალი ცხოვრების მშენებლობისა და კოლექტიური შრომის პროცესში გამოიზარდნენ შესანიშნავი საკოლმეურნეო კადრები, გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ ახალი ადამიანები, საზოგადოებრივი სოციალისტური წარმოების აქტიური მონაწილენი.

საკოლმეურნეო წყობილების დიდი წარმატებანი მიღწეულია იმ უდიდესი ზარალის მიუხედავად, რომელიც სოფლის მეურნეობას ფაშისტმა დამპყრობლებმა მიაყენეს დიდი სამამულო ომის პერიოდში. წარმატებით გაუძლო რა ომის დროის მკაცრ გამოცდას და სწრაფად მოიშუშა რა ომით მიყენებული ჭრილობები, სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ცხადყო თავისი სიცოცხლისუნარიანობა, თავისი მძლავრი ძალები.

4. იჩენს რა ყოველდღიურ ზრუნვას სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე და შემდგომ პლენუმებზე გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, რომლებმაც გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი რიგი დარგების თავმინებებულობა. პარტია ვერ შეურიგდებოდა საქმის ასეთ მდგომარეობას. მას საჭიროდ მიაჩნდა და მიაჩნია მძლავრ მრეწველობასთან ერთად იქონიოს ყოველმხრივ განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელსაც შეუძლია აწარმოოს იმდენი სურსათი და ნედლეული, რამდენიც საჭიროა მოსახლეობისა და სახელმწიფოს ყველა სხვა მოთხოვნილების სრული უზრუნველყოფისათვის.

სახავდა რა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანას, როგორც უმნიშვნელოვანეს საყოველთაო-სახალხო ამოცანას, პარტია ითვალისწინებდა საბჭოთა საზოგადოების სასიცოცხლო საჭიროებებს, ამასთან იგი ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საპროგრამო დებულებებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, სურსათის სიუხვის შექმნის შესახებ, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კომუნიზმში გადასვლა. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები ხაზგასმით აღნიშნავდნენ მიწათმოქმედებისა და სურსათის წარმოების უმნიშვნელოვანეს როლს საზოგადოების ცხოვრებისათვის. „კვების საშუალებათა წარმოება, — აღნიშნავდა კ. მარქსი, — უშუალო მწარმოებელთა ცხოვრებისა და საერთოდ ყოველგვარი წარმოების უპირველესი პირობაა“ („კაპიტალი“, ტ. III, გვ. 647). იმუშავებდა რა სოციალისტური მშენებლობის გეგმებს, ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ ბრძოლა პურისათვის არის ბრძოლა სოციალიზმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება და სურსათის წარმოების გადიდება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების აუცილებელ პირობას. „არავითარი სოციალისტური ქვეყანა არ შეიძლება, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების სახელმწიფო, — ამბობდა ლენინი, — თუ მას მუშებისა და გლეხების გაერთიანებული ძალღონით არ შეუძლია ისეთი სასურსათო ფონდის შეგროვება, რომ უზრუნველყოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა გამოკვება, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს ათი და ასი ათასობით მუშა დაძრას იქით, საითაც ეს საბჭოთა ხელისუფლებას ესაჭიროება. უამისოდ მხოლოდ ლაპარაკი იქნება. მეურნეობის ნამდვილი საფუძველი ეს სასურსათო ფონდია... ასეთი ფონდის გარეშე სოციალისტური პოლიტიკა მარტო სურვილად დარჩება“ (თხზ., ტ. 31, გვ. 623-624).

აწყობდა რა საყოველთაო-სახალხო ბრძოლას სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, კომუნისტურმა პარტიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა კონსერვატორებსა და დოგმატიკოსებს, რომლებიც მოწყვეტილი იყვნენ ცხოვრებას და წინააღმდეგობას უწევდნენ პარტიის ლენინურ ხაზს, ეწინააღმდეგებოდნენ ისეთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელებას, როგორიც არის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრული განხორციელება.

5. ჩვენი პარტიის მიერ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე გამომუშავებული ვრცელი პროგრამა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა, მარცვლეულის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა წარმატებით ხორციელდება.

ეს პროგრამა ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვან გაძლიერებას, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებას კვალიფიციური სპეციალისტების, ორგანიზატორებისა და მუშა-მექანიზატორების კადრებით, მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია საკოლმეურნეო წარმოების გაფართოებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპის თანმიმდევრული განხორციელება, კოლმეურნეობებში მართვის შემდგომი დემოკრატიზაცია.

ამ პროგრამის განსახორციელებლად პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ უდიდესი მუშაობა გასწიეს, რასაც დამაჯერებლად მოწმობენ შემდეგი მონაცემები. 1954-1957 წლების პერიოდში სოფლის მეურნეობაში გაიგზავნა: 908 ათასი ტრაქტორი (თხუთმეტძალიანზე გაანგარიშებით), მარცვლეულის კომბაინი — 293 ათასი, სილოსისა და სიმინდის ასაღები კომბაინი — 143 ათასი, სატვირთო ავტომობილი — 467 ათასი, ტრაქტორის სათესი მანქანა—684 ათასი. სოფლის მეურნეობას დიდი დახმარება გაეწია კვალიფიციური კადრებით. თუ 1953 წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში მუშაობდა უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მქონე 83 ათასი სპეციალისტი, 1957 წლის 1 დეკემბრისათვის ასეთი სპეციალისტი უკვე 277 ათასი იყო.

უკანასკნელ ოთხ წელიწადში საბჭოთა სახელმწიფომ სოფლის მეურნეობას მისცა — საწარმოო შენობათა, ნაგებობათა მშენებლობისათვის, ტრაქტორების, მანქანებისა და მოწყობილობის ანაზღაურებისათვის — 75 მილიარდ 400 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდებანი ანუ 10 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე ამ მიზნებისათვის დაბანდებული იყო შესადარ ფასებში ერთად აღებულ მეორე, მესამე, მეოთხე ხუთწლედებში და მეხუთე ხუთწლედის სამ წელიწადში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის ყველა ძირითადი პროდუქტის დასამზადებელი და შესასყიდი ფასები, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ოდენობა. ხოლო 1958 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობანი მთლიანად განთავისუფლებული არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან. დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის ახალი წესის შემოღებამ და კოლმეურნეობებისათვის იმის უფლების მინიჭებამ, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში შეიტანონ ცვლილებანი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, რამაც გზა გაუხსნა კოლმეურნეთა ინიციატივას არსებულ შესაძლებლობათა უკეთ გამოყენების საქმეში.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელებაში მიღწეულ წარმატებებს, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, ნათლად მოწმობენ ასეთი მონაცემები. მარცვლეულის საერთო მოსავალი ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე 27 პროცენტით გაიზარდა წინა ოთხ წელიწადთან შედარებით. ამავე პერიოდში კარტოფილის საერთო მოსავალი გაიზარდა 14 პროცენტით, ბოსტნეულისა — 39 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა—37 პროცენტით, საბოჭკოე სელისა — 91 პროცენტით, ნედლი ბამბისა — 13 პროცენტით. გადიდდა აგრეთვე პირუტყვის სულადობა: 1954 წლის 1 იანვრისათვის ჩვენს ქვეყანაში იყო 55,8 მილიონი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 25,2 მილიონი ძროხა, 33,3 მილიონი ღორი, 99,8 მილიონი ცხვარი. 1958 წლის 1 იანვრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი გახდა 66,7 მილიონი სული, მათ შორის 31,4 მილიონი ძროხა, 44,3 მილიონი სული ღორი, 120,1 მილიონი სული ცხვარი. პირუტყვის სულადობის გადიდებასთან ერთად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მაგალითად, ხორცის წარმოება ჯოგის ნამატის გათვალისწინებით უკანასკნელ 4 წელიწადში გადიდდა 38 პროცენტით, აქედან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თითქმის 80 პროცენტით, რძის წარმოება მთლიანად ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა 50 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთიორად და მეტად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის დავალება კოლმეურნეობებში ძროხების წველადობისა და რძის დამზადების გადიდების შესახებ შესრულებულია ვადამდე, სამ წელიწადში ნაცვლად ექვსი წლისა.

პარტიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენი სოფლის მეურნეობა, რომელმაც დაძლია ჩამორჩენა და ზოგიერთი დარგის ყოფილი თავმინებებულობა, ახლა მკვეთრი აღმავლობის გზაზეა. ამასთან ერთად მიღწეული წარმატებანი არ შეიძლება აღიარებულ იქნას საკმარისად, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ახალი ეტაპის ამოცანებს და მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის უდიდეს პერსპექტივებს, სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომი სწრაფი განვითარების ინტერესებს, იმას, რომ საჭიროა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებანი.

იმისათვის, რომ შევასრულოთ მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების იმ ოდენობით გადიდების დავალებანი, რომელიც დააწესა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, და მეცხოველეობის პროდუქციისა იმ ოდენობით, რომელიც საჭიროა, რათა გადავწყვიტოთ ამოცანა, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, საჭიროა უზრუნველვყოთ მიწათმოქმედების კულტურის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უკეთ გამოყენება, ნოვატორთა გამოცდილების დანერგვა. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების ზრდა, მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების მკვეთრი შემცირება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ჩვენი კოლმეურნეობები, რომლებიც იძლევიან საერთო და სასაქონლო პროდუქციის უდიდეს ნაწილს, მათ შორის მარცვლეულის სახელმწიფო დამზადების 70 პროცენტს, ხორცისა და რძის დამზადების ორ მესამედს. კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებაზე, მათი მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებაზე დამოკიდებულია წარმოების ზრდა სოფლის მეურნეობაში.

ამჟამად საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციაში, განსაკუთრებით მარცვლეულის მეურნეობაში, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, რამდენადაც ისინი ასრულებენ ძირითად სამუშაოებს მიწათმოქმედებაში და განსაზღვრავენ ამ სამუშაოთა მექანიზაციის დონეს კოლმეურნეობებში. ამავე დროს კოლმეურნეობათა გამსხვილება, რაც ამ უკანასკნელ წლებში განხორციელდა, მათი ეკონომიკის სწრაფი ზრდა, კოლმეურნეობების როგორც მსხვილი მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების განვითარება მოითხოვს, კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების დადგენილი წესის შეცვლას.

მიზნად ისახავს რა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას და კოლმეურნეობათა პროდუქციის გადიდებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად სახავს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის განხორციელებას.

## II.

### მტს-ების როლი საკოლმეურნეო წყობილების შექმნასა და განმტკიცებაში

1. სოფლის მეურნეობაში წარმოების ახალი, სოციალისტური წესის გამარჯვებისათვის საჭირო იყო, რომ კოლმეურნეობებს დაემტკიცებინათ თავიანთი უპირატესობა არა მარტო წვრილ სასაქონლო გლეხური მეურნეობის წინაშე, არამედ მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების წინაშეც. ეს ამოცანა ვერ გადაიჭრებოდა, თუ ჩვენს სოფლის მეურნეობას არ შევაიარაღებდით მოწინავე მანქანური ტექნიკით. მხოლოდ თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე შეუძლია მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობას ჯეროვნად განავითაროს მიწათმოქმედების საწარმოო ძალები, უზრუნველყოს პროდუქტების წარმოება მაქსიმალური რაოდენობით და ამით ცხადყოს თავისი სიცოცხლისუნარიანობა და პროგრესულობა სოფლის მეურნეობის ყოველ სხვა, არასოციალისტურ სისტემასთან შედარებით.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათეულ წელს ჩვენი გლეხობა მნიშვნელოვანწილად, განაგრძობდა თავისი მეურნეობისათვის ბაზის შექმნას შრომის ისეთივე იარაღებით, როგორც რევოლუციამდე. მაგალითად, 1928 წელს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში იყო 4 მილიონ 600 ათასი კავი, 14 მილიონი ცხენის გუთანი, 718 ათასი ცხენის სათესი მანქანა, 1 მილიონ 300 ათასი ცხენის სამკალი მანქანა და მხოლოდ 27 ათასი ტრაქტორი. სოფლის მეურნეობას სრულიად არ ჰქონდა მარცვლეულისა და ჭარხლის ასაღები კომბაინები, ტრაქტორის სელის საჩეჩები და კარტოფილსარგავები და ბევრი სხვა თანამედროვე მანქანა. პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც შეესაბამებოდა დაქუცმაცებული წვრილი გლეხური მეურნეობის ბუნებას, არ შეიძლებოდა ყოფილიყო მტკიცე ბაზა მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედებისათვის.

მტკიცედ ახორციელებდა რა ინდუსტრიალიზაციის ლენინურ კურსს, საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით აშენებდა მძლავრ სოციალისტურ მრეწველობას, ავითარებდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას და ამით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების განმტკიცებასთან ერთად ქმნიდა პირობებს სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის და მისი საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის. მოწინავე ტექნიკით სოფლის მეურნეობის წლითიწლობით მზარდი მომარაგება აძლიერებდა სოციალისტური ქალაქის საწარმოო კავშირს სოფელთან, უდიდეს

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ

## თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

(გაგრძელება)

გამარჯვოლუციონირებელ გავლენას ახდენდა გლეხობაზე. მილიონობით მშრომელმა გლეხმა თვალნათლივ დაინახა, თუ რა უპირატესობები აქვს მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებას, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს რთული ტექნიკა, რაც ამსუბუქებს შრომას და მკვეთრად ზრდის მის ნაყოფიერებას. ამან გადამწყვეტად შეუწყო ხელი იმას, რომ უკვე 1929 წლის დამლევისათვის გლეხთა უფართოესმა მასებმა მიაშურეს კოლმეურნეობებს.

2. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით დადგა საკითხი მისი გამოყენების გზების შესახებ იმ პირობებში, როცა სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ხდებოდა. ეს გზა შეიძლებოდა ორი ყოფილიყო. პირველი — რთული მანქანები უშუალოდ მიგვეყიდა კოლმეურნეობებისათვის, მეორე — დაგვეტოვებინა ისინი სახელმწიფოს ხელში და შეგვექმნა სპეციალური საწარმოები კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის გარკვეულ ფასად. როგორც მალე გამოცდილებამ დაგვანახვა, მასობრივი საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყებითი პერიოდისათვის პირველი გზა მიუღებელი იყო. ახალგაზრდა, ეკონომიურად ჯერ კიდევ სუსტ კოლმეურნეობებს არ ჰქონდათ საკმაო სახსრები, რომ ეყიდნათ ტრაქტორები და სხვა რთული მანქანები, შეეძინათ საწვავი, აეშენებინათ მანქანების შესანახი სადგომები და მათი შესაკეთებელი სახელოსნოები. კოლმეურნეობებს არა ჰყავდათ აგრეთვე კვალიფიციური კადრები, რომლებიც შეძლებდნენ ახალი მანქანების მართვას. მრეწველობა იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ აწარმოებდა მანქანებს ისეთი რაოდენობით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ყველა კოლმეურნეობის საკმაოდ მომარაგება.

ყველაზე მიზანშეწონილი აღმოჩნდა მეორე გზა, რომელიც გვიკარნახა საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკამ, — გზა მსხვილი სახელმწიფო საწარმოების შექმნისა, რომლებიც მოწოდებული იყვნენ მომსახურებოდნენ კოლმეურნეობებს მანქანური ტექნიკით. სახელმწიფოს ფინანსურ დახმარებასა და სოციალისტური ინდუსტრიის ძლიერებაზე დაყრდნობით ეს საწარმოები დიდ სარგებლობას აძლევდნენ როგორც კოლმეურნეობებს, ისე სახელმწიფოს. ჯერ-ერთი, ისინი უზრუნველყოფდნენ მატერიალურ-ტექნიკურ პირობებს ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკის მაღალნაყოფიერი გამოყენებისათვის. მეორე, ისინი შეიძლება გამხდარიყვნენ სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებზე ხელმძღვანელი ზემოქმედების მძლავრი ბერკეტი, გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის შემდგომი განმტკიცების საშუალება. ხელმძღვანელობდნენ რა სოციალიზმის ინტერესებით, პარტიამ და მთავრობამ გააჩაღეს მშენებლობა ამ განსაკუთრებული ტიპის სახელმწიფო საწარმოების ფართო ქსელისა, რომლებსაც ეწოდათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და რომლებმაც თავიანთი არსებობის მანძილზე დიდმნიშვნელოვანი ისტორიული როლი შეასრულეს საკოლმეურნეო წყობილების შექმნასა და განმტკიცებაში.

3. მტს-ების მშენებლობას დასაბამი მიეცა 1927 წელს, როცა ოდესის ოლქის შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობამ შექმნა რაზმი 10 ტრაქტორის შემადგენლობით, რათა საწარმოო დახმარება გაეწია ახლომახლო სოფლების გლეხებისათვის. 1928 წელს ამ რაზმის ბაზაზე მოეწყო ჩვენს ქვეყანაში პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. 1929 წლიდან გაჩაღდა მტს-ების მასობრივი მშენებლობა.

განაზოგადა რა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობის პირველი გამოცდილება, საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წელს მიიღო დადგენილება, რომელშიც განსაზღვრული იყო ამ საწარმოთა როლი და მნიშვნელობა. „მტს-ების სახით,—აღნიშნული იყო დადგენილებაში,—მასობრივი გამოცდილებით გამოვლინებულ და შემოწმებულ იქნა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მაღალი ტექნიკის ბაზაზე მსხვილი კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაციის ფორმა, რომელშიც ყველაზე სრულად არის შეხამებული კოლმეურნეთა მასების თვითმოქმედება თავიანთ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობაში პროლეტარული სახელმწიფოს მხრივ ორგანიზაციულ და ტექნიკურ დახმარებასთან და ხელმძღვანელობასთან".

უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც მტს-ებს ჰქონდათ სოფლის მეურნეობისათვის, ადასტურებს მათი რიცხვის სწრაფი ზრდა. უკვე 1932 წელს მტს-ების რიცხვმა მიაღწია 2.446-ს, 1941 წელს მან გადააჭარბა 7 ათასს, ხოლო 1957 წელს შეადგინდა დაახლოებით 8 ათასს. მტს-ების დახმარებით კოლმეურნეობებმა თავიანთი არსებობის პირველსავე წლებში ბევრად გააფართოეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება. საბჭოთა მეურნეობებთან ერთად მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს გრანდიოზული ამოცანის განხორციელებაში — ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების 36 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში.

ახორციელებს რა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამას, კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელ წლებში დიდი ღონისძიებანი მიიღო მტს-ების შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეობათა განვითარებაში მათი როლის ამაღლებისათვის. მტს-ების სატრაქტორო პარკი ომამდელთან შედარებით გაიზარდა თითქმის ერთიორად, ხოლო მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა — 2,8-ჯერ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით მტს-ებში შეიქმნა მექანიზატორთა მუდმივი კვალიფიციური კადრები. მტს-ებში ხელმძღვანელ და საინჟინრო-ტექნიკურ სამუშაოზე გაიგზავნა მრავალი ათასი საუკეთესო ადამიანი ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან.

4. მოაწყეს რა მტს-ების ფართო მშენებლობა, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ისტორიაში პირველად მისცეს მშრომელ გლეხობას გამოსაყენებლად მოწინავე ტექნიკა, რომელმაც დახმარება გაუწია მას დასდგომოდა განვითარების ერთადერთ სწორ, სოციალისტურ გზას. სახელმწიფოს ხელში მტს-ებმა შეასრულეს უმნიშვნელოვანესი საშუალების როლი საკოლმეურნეო წყობილების განვითარებისა და განმტკიცებისათვის, კოლექტივიზმის სულისკვეთებით მრავალმილიონიანი გლეხობის ხელახლა აღზრდისათვის ბრძოლაში. საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში მტს-ებთან შექმნილმა პოლიტიკურმა განყოფილებებმა ახალგაზრდა კოლმეურნეობებს დახმარება გაუწიეს ორგანიზაციულ-მეურნეობრივად განმტკიცებულიყვნენ, გაეცამტვერებინათ მათ წინააღმდეგ მიმართული კულაკთა მაქინაციები. სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში უკანასკნელ წლებში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით შექმნილმა პარტიის რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფებმა მტს-ების ზონების მიხედვით.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მათი მძლავრი ტექნიკის გავლენით ძირეულად შეიცვალა საკოლმეურნეო სოფლის სახე და სოფლის ცხოვრების მთელი წყობილება. მანქანა-ტრაქტორთა პარკთან ერთად სოფელში გაჩნდნენ მანქანათშესაკეთებელი სახელოსნოები, ავტოტრანსპორტი, ელექტროენერგია. წარმოიშვა და ვითარდება სამრეწველო ტიპის დამხმარე საწარმოთა ქსელი. მტს-ებში გაიზარდა მექანიზატორთა — ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირთა, შოფერთა, რემონტის და სხვა მუშათა უდიდესი არმია, რომლებიც დაუფლებული არიან ტექნიკასა და შრომის ინდუსტრიულ კულტურას. მტს-ების მუდმივ მუშაკთა რიცხვი 1957 წელს 2 მილიონზე მეტ კაცს შეადგენდა. მტს-ების აგრონომიულმა და ზოოტექნიკურმა კადრებმა დიდი მუშაობა გასწიეს კოლმეურნეობებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებისათვის. მექანიზაციის სასწავლებლებსა და სკოლებში და სხვადასხვა კურსებზე, რომლებიც მტს-ებთან ეწყობა, მომზადდა მილიონობით კვალიფიციური მუშაკი საკოლმეურნეო წარმოებისათვის.

ახორციელებდნენ რა კოლმეურნეობებისადმი ორგანიზაციულ-სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელობას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ეხმარებოდნენ პარტიას აღეზარდა საკოლმეურნეო კადრები და ყველა კოლმეურნე სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებათა პირველ რიგში შესრულების სულისკვეთებით, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. მტს-ების მშენებლობა მოასწავებდა უღრმეს ტექნიკურ რევოლუციას სოფლის მეურნეობაში, ხელს უწყობდა სოფლად კულტურული რევოლუციის შემდგომ განვითარებას და ამასთან ერთად იყო გადამწყვეტი ნაბიჯი საკოლმეურნეო წყობილების შექმნისა და განმტკიცების გზაზე.

საბჭოთა კავშირის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გამოცდილებას მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში ფართოდ იყენებენ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში, რომლებიც სოფლის მეურნეობის კოოპერირებას ახორციელებენ. სახალხო დემოკრატიის მთელ რიგ ქვეყნებში მოწყობილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები დახმარებას უწევენ ახალგაზრდა კოოპერატივებს მუშაობაში, ხელს უწყობენ მათს გარდაქმნას სანიმუშო მეურნეობებად, რომლებიც დამყარებულია კოლექტიურ შრომასა და საზოგადოებრივ საკუთრებაზე.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი როლი შეასრულეს სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. პარტიისა და სახელმწიფოს ხელში მტს-ები გახდნენ ის ძალა, რომლის დახმარებითაც უზრუნველყოფილ იქნა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება და წარმატებით განვითარება, შრომისა და წარმოების სოციალისტური ორგანიზაციის ახალი ფორმების განმტკიცება, ისეთი კადრების მომზადება, რომელთაც უნარი შესწევთ წინ წასწიონ მსხვილი მეურნეობა. შეიქმნა წინაპირობები სოფლის საწარმოო ძალების უფრო მძლავრი განვითარებისათვის.

## III.

## საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ახალი ეტაპი და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საჭიროება

1. საკოლმეურნეო წყობილებამ თავისი არსებობის თითქმის ოცდაათ წელიწადში განვითარების დიდი გზა განვლო. დაწყებითს პერიოდში მეტი წილი კოლმეურნეობები წვრილ, ეკონომიურად სუსტ მეურნეობებს წარმოადგენდნენ. წვრილ კოლმეურნეობათა ხანგრძლივი არსებობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ისინი არ იძლევიან შესაძლებლობას ყოველმხრივ განვითარდეს საზოგადოებრივი წარმოება და სრულად იქნას გამოყენებული რთული მოწინავე ტექნიკა, რომლითაც სახელმწიფო განუწყვეტლივ აიარაღებს სოფლის მეურნეობას. მაგალითად, 1949 წელს ბელორუსიის სს რესპუბლიკაში საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 308 ჰექტარი სახნავი, 67 კომლი, 100 შრომისუნარიანი კაცი. მოსკოვის ოლქში ერთ კოლმეურნეობაზე სახნავი იყო 188 ჰექტარი, კომლი — 43, შრომისუნარიანი — 47; კიროვის ოლქში სახნავი — 291 ჰექტარი, კომლი — 33, შრომისუნარიანი — 48. საშუალოდ საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობაზე მოდიოდა: სახნავი — 557 ჰექტარი, შრომისუნარიანი — 113 კაცი. ამას უნდა დაემატოს, რომ ბევრი წვრილი კოლმეურნეობის ნატურალური და ფულადი შემოსავალი მეტად მცირე იყო. ასეთ წვრილ და ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ნელა ვითარდებოდა.

კოლმეურნეობათა გამსხვილება, რაც 1950-1951 წლებში განხორციელდა, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში. ეს ღონისძიება ქმნიდა ხელსაყრელ შესაძლებლობებს ტექნიკის, მუშახელის რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებისა და საკოლმეურნეო ეკონომიკის აღმავლობისათვის. მაგრამ იმ დროს, როცა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში სერიოზული ნაკლოვანებანი იყო, მარტო ეს ღონისძიება ვერ უზრუნველყოფდა ძირეულ გარდატეხას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში.

კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლამ, რომელიც გაჩაღდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, აღნიშნა საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი. ამ ეტაპს შემდეგი ნიშნები ახასიათებს.

**ჯერ-ერთი, ამჟამად მეტი წილი კოლმეურნეობები მსხვილი და ეკონომიურად ღონიერი მეურნეობები გახდნენ,** რომლებიც წარმოებაში ფართოდ იყენებენ თანამედროვე ტექნიკას, მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას. თუ 1949 წელს ჩვენს ქვეყანაში 250 ათასზე მეტი კოლმეურნეობა იყო, გამსხვილების შედეგად ახლა დაახლოებით 78 ათასია. საშუალოდ სსრ კავშირში კოლმეურნეობაზე 1957 წელს მოდიოდა 1954 ჰექტარი სახნავი, ესე იგი სამჯერ და კიდევ მეტი, ვიდრე კოლმეურნეობათა გამსხვილებამდე. ბევრ კოლმეურნეობას, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის ძირითად რაიონებში, 5-10 და მეტი ათასი ჰექტარი სახნავი აქვს, რაც საშუალებას იძლევა ფართო მასშტაბით გამოიყენონ მანქანური ტექნიკა. ერთისამად და მეტად გადიდდა აგრეთვე თვითეულ კოლმეურნეობაზე შრომისუნარიანთა საშუალო რაოდენობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის წარმოება ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე, გადიდდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის საქონლიანობა.

საზოგადოებრივი წარმოების ზრდასთან და მისი საქონლიანობის გადიდებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი და ანარიცხები განუყოფელ ფონდებში. თუ 1952 წელს ფულადი ანარიცხები ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდებში მთლიანად შეადგენდა 7 მილიარდ 408 მილიონ მანეთს, 1956 წელს მიაღწია 16 მილიარდ 728 მილიონ მანეთს, ესე იგი გადიდდა ერთიორად და მეტად. კოლმეურნეობათა საერთო განუყოფელი ფონდები ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 63 მილიარდ 708 მილიონი მანეთიდან 98 მილიარდ 594 მილიონ მანეთამდე. ამრიგად, კოლმეურნეობები არა მარტო გამსხვილდნენ, არამედ უკანასკნელ წლებში შეუდარებლად უფრო განმტკიცდნენ ეკონომიურად. საეჭვო არ არის, რომ კოლმეურნეობათა გამსხვილებამ, მათთვის გაწეულმა მატერიალურმა მხარდაჭერამ და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში, მთელი სოფლის მეურნეობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში.

**მეორე, თანამედროვე გამსხვილებული კოლმეურნეობები ტექნიკურად მნიშვნელოვნად უკეთ არიან აღჭურვილნი, ვიდრე წინათ.** 660 ათასი სატვირთო ავტომანქანიდან, რომლებიც საერთოდ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას აქვს, დაახლოებით 330 ათასი ავტომანქანა, ესე იგი ნახევარი, ეკუთვნის კოლმეურნეობებს. ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ავტომობილებისა და სხვა ტექნიკის ღირებულება კოლმეურნეობებში შეადგენს 24 მილიარდ მანეთს. ბევრ კოლმეურნეობას აქვს თავისი ელექტროსადგური, აგრეთვე დამხმარე საწარმოები, აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით. ამჟამად ყველა კოლმეურნეობის ნახევარზე მეტი სარგებლობს ელექტროენერგიით. კოლმეურნეობათა კუთვნილი ძრავების სიმძლავრე უკვე 1957 წლის დამლევისათვის აღემატებოდა 3 მილიონ კილოვატს. ამრიგად, კოლმეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობა უკანასკნელ წლებში აგრეთვე ბევრად გაძლიერდა.

**მესამე, კოლმეურნეობებში ახლა გაიზარდნენ კვალიფიციურ მემინდვრეთა, მეცხოველეთა, მექანიზატორთა —** ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, მემანქანეთა, ელექტრიკოსთა, შოფერთა, მშენებლობის სპეციალისტთა, საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებსაც შეუძლიათ უნარიანად გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა და მეცნიერების მიღწევები. თუ 1953 წელს კოლმეურნეობებში მუშაობდა მხოლოდ 18 ათას 500 სპეციალისტი, ახლა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 150 ათასზე მეტი სპეციალისტია. კოლმეურნეობებში ასეულ ათასობით არიან მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები და საკოლმეურნეო წარმოების სხვა გამოცდილი ორგანიზატორები, რომლებმაც სწავლა მიიღეს კურსებზე, სკოლებსა და სასწავლებლებში. ამრიგად, კოლმეურნეობებს ახლა თავიანთ განკარგულებაში ჰყავთ მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტთა და კვალიფიციურ მუშაკთა დიდი არმია. ამაღლდა მილიონობით კოლმეურნეთა სოციალისტური შეგნება. სულ სხვა გახდა სოფელი, სხვანი არიან კოლმეურნე გლეხები.

**მეოთხე, საკოლმეურნეო ეკონომიკის აღმავლობის იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც პარტიამ მიიღო, მკვეთრად გადიდდა კოლმეურნეობათა შემოსავალი და გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა.** კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა 1956 წელს მიაღწია 94 მილიარდ 616 მილიონ მანეთს, ესე იგი გადიდდა თითქმის ერთისამად 1950 წელთან შედარებით. კოლმეურნეთა იმ ფულადი და ნატურალური შემოსავლის საერთო თანხა, რომელიც მიღებული აქვთ საზოგადოებრივი და პირადი მეურნეობიდან, ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 1957 წელს 1953 წელთან შედარებით შესადარ ფასებში 33 პროცენტით გადიდდა. ამან საშუალება მისცა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს მნიშვნელოვნად გაედიდებინათ სამრეწველო საქონლის შეძენა, ფართო მასშტაბით გაეჩაღებინათ საბინაო მშენებლობა. საქონელბრუნვა სამომხმარებლო კოოპერაციისა, რომელიც ვაჭრობას აწარმოებს სოფლად, ოთხ წელიწადში გადიდდა 75 პროცენტით შესადარ ფასებში. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ააშენეს ორნახევარ მილიონამდე ახალი საცხოვრებელი სახლი.

2. ახლანდელი კოლმეურნეობები, რომლებსაც მილიონობით შემოსავალი, დიდი განუყოფელი და საწარმოო ფონდები აქვთ და მრავალრიცხოვანი კადრები ჰყავთ, არ შეიძლება შევადაროთ ეკონომიურად სუსტ და მეტწილად წვრილ კოლმეურნეობებს მათი განვითარების დაწყებითს პერიოდში. ახლა, როცა კოლმეურნეობებს ძალუძთ განახორციელონ დიდი კაპიტალდაბანდებანი თავიანთ წარმოებაში, შეიძინონ რთული ტექნიკა, უზრუნველყონ მისი სწორი გამოყენება, მომწიფდა საკითხი, რომ ძირეული ცვლილებები შევიტანოთ კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ფორმებში.

ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში, უწინარეს ყოვლისა მარცვლეულის რაიონებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები აწარმოებენ მინდვრის სამუშაოთა უდიდეს ნაწილს კოლმეურნეობებში. ამის შედეგად სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო ძალა — კოლმეურნეობათა მუშახელი თითქოს ჩამოშორებულია წარმოების მთავარ იარაღებს — ტრაქტორებსა და სხვა მანქანებს, რაც ხელს უშლის მუშახელისა და ტექნიკის რაც შეიძლება უფრო ეფექტიანად გამოყენებას. არსებული პრაქტიკა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ორი პატრონის — კოლმეურნეობისა და მტს-ის არსებობას ერთსა და იმავე მიწაზე, თუმცა ამჟამად არ არის ამის არავითარი საჭიროება. რამდენადაც რთული ტექნიკა მტს-ების ხელშია, კოლმეურნეობებს არ შეუძლიათ უშუალოდ განაგონ და გამოიყენონ იგი საკოლმეურნეო წარმოების მთელი რეზერვების ყველაზე სრული ექსპლოატაციის ინტერესებისათვის. კოლმეურნეობა და მტს-ი იძულებული არიან მართვის ორი აპარატი იყოლიონ ერთი და იმავე ამოცანების შესასრულებლად, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებას.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ კოლმეურნეობათა ზრდასა და განმტკიცებასთან დაკავშირებით ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში დაიწყეს მტს-ებისა და კოლმეურნეობების ურთიერთობის ახალი ფორმების ძებნა. იქ, სადაც მანქანა-ტრაქტორთა სადგური მომსახურებას უწევს მხოლოდ ერთ კოლმეურნეობას, როგორც კოლმეურნეობის, ისე მტს-ის სათავეში აყენებენ ერთსა და იმავე პირს — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. სხვა შემთხვევებში, როცა კოლმეურნეობას მომსახურებას უწევს ერთი სატრაქტორო ბრიგადა. ზოგან თანდათან ქმნიან კომპლექსურ სატრაქტორო-მემინდვრეობის ბრიგადებს კოლმეურნეობის ბრიგადირის მეთაურობით. ის გარემოება, რომ ყველგან ეძებენ კოლმეურნეობებისათვის მომსახურების გამწევ სახელმწიფო საწარმოთა და თვით კოლმეურნეობათა შორის ახალ ურთიერთობას, იმას მოწმობს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უკვე შეასრულეს ის როლი, რაც მათ წინათ ეკისრებოდათ, და ახლა საჭიროა მათი რეორგანიზაცია.

წინათ მტს-ები გამოდიოდნენ როგორც საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორები. ახლა ეს ფუნქცია ქრება, რადგან კოლმეურნეობებმა თავიანთი არსებობის წლებში შეიძინეს მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის მდიდარი გამოცდილება.

იმ პირობებში, როცა კოლმეურნეობებს არა ჰყავდათ თავიანთი ტექნიკური კადრები, მტს-ები სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის ცენტრები იყვნენ. ახლა კოლმეურნეობებში გაიზარდნენ მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც აგრეთვე ტექნიკური პროგრესის მატარებელნი არიან. მაშასადამე, ქრება მტს-ების ეს ფუნქციაც.

ახლა მტს-ები აღარ ასრულებენ იმ პოლიტიკურ როლს, რომელიც მათ დაკისრებული ჰქონდათ საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ ეტაპზე. ახლა მტს-ების მუშაკებს აღარ ესაჭიროებათ, რომ ვინმე დაარწმუნონ მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობებში, რადგან საკოლმეურნეო წყობილებამ ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია გაიმარჯვა, და კოლმეურნეებს კოლმეურნეობის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. მაშასადამე, ამოიწურა მტს-ების ეს ფუნქციაც.

ამრიგად, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობისა და კოლმეურნეობათა განმტკიცების მსვლელობაში ძირეულად შეიცვალა სოციალურ-ეკონომიური ვითარება სოფლად. ახლა კოლმეურნეობები განვითარებული სოციალისტური საწარმოები არიან, რომელთა უმრავლესობას მტს-ების ხელმძღვანელობა არ ესაჭიროება. ამის გამო მტს-ების საშუალებით კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ამჟამად მოქმედი ფორმა ვეღარ აკმაყოფილებს საკოლმეურნეო წარმოების ზრდის მოთხოვნილებებს და უკვე აფერხებს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებას. ამიტომ საჭიროა გამოვნახოთ კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ახალი ფორმა, რომელიც უფრო შეესაბამება საკოლმეურნეო წყობილების განვითარების თანამედროვე ეტაპს.

3. საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოების ინტერესებისათვის მიზანშეწონილია შემოვიღოთ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიყიდვა უშუალოდ კოლმეურნეობებისათვის. ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება კოლმეურნეობებს შეაიარაღებს თანამედროვე ტექნიკით, რაც საშუალებას მისცემს მათ უფრო პროდუქტიულად გამოიყენონ კოლმეურნეობებისათვის სამუდამო სარგებლობაში მიცემული მიწა, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ამით აღიკვეთება თანამედროვე პირობებში ის დრომოჭმული წესი, როცა ერთსა და იმავე მიწაზე მეურნეობას აწარმოებს ორი სოციალისტური საწარმო — კოლმეურნეობა და მტს-ი, რაც იწვევს ორმაგობას, პარალელიზმს ხელმძღვანელობაში, გაუპიროვნებას წარმოების ორგანიზაციაში, ზედმეტი სამმართველო აპარატის ყოლას და საბოლოო ანგარიშით იმას, რომ სრულად არ არის გამოყენებული წარმოების იარაღები და სამუშაო ძალა. მტს-ების რეორგანიზაცია, კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვა კიდევ უფრო ფართო გზას გაუხსნის სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებას, გააძლიერებს კოლმეურნეთა მასების მატერიალურ დაინტერესებას, შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას საკოლმეურნეო წარმოების ყველა რეზერვისა და შესაძლებლობის უკეთ გამოყენებისათვის ბრძოლაში. ეს გამოიწვევს კოლმეურნეობათა, როგორც სოციალისტურ საწარმოთა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, ეკონომიკის ახალ აღმავლობას და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდას.

ცალკეული ეკონომისტები ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ აყენებდნენ წინადადებას, რომ სახელმწიფოს კოლმეურნეობებისათვის მიეყიდნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში არსებული ტექნიკა და ამრიგად გაეუქმებინა მტს-ები. ეს წინადადება პარტიამ გადაჭრით უარყო, როგორც მცდარი და სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის საშიში. იმ პირობებში, როცა კოლმეურნეობები მეტწილად წვრილი და ეკონომიურად სუსტი საწარმონი იყვნენ, მათ არ შეეძლოთ შეეძინათ და სწორად გამოეყენებინათ მტს-ების ტექნიკა. მტს-ების ლიკვიდაცია გარდუვალად გამოიწვევდა კოლმეურნეობათა ეკონომიკის დასუსტებას, შეარყევდა საკოლმეურნეო წყობილებას.

ამჟამად დასახული რეორგანიზაცია მტს-ებისა და კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ახალ, უფრო სრულყოფილ ფორმაზე გადასვლა მომზადებულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების მთელი მსვლელობით ამ უკანასკნელ წლებში. ეს რეორგანიზაცია განხორციელდება საკოლმეურნეო წყობილების იმ დიდ წარმატებათა ბაზაზე, რომლებიც მიღწეულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დახმარებით, რომლებმაც დიდი, დადებითი როლი შეასრულეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელებაში.

აი რა ვითარებაში და რა საფუძველზე აყენებს ახლა პარტია კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიყიდვის ამოცანას. იგი ემყარება საკოლმეურნეო წყობილების არა სისუსტეს, არამედ ძალას. ეს არის კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვის საკითხის ახლანდელი დასმის ძირეული განსხვავება იმ წინადადებათაგან, რომლებსაც ცალკეული ეკონომისტები აყენებდნენ რამდენიმე წლის წინათ. ამასთან საქმე ეხება არა მტს-ების ლიკვიდაციას, არამედ მათს თანდათანობით რეორგანიზაციას, რაც ხორციელდება კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ზონისა და რაიონის თავისებურებათა და ცალკეულ კოლმეურნეობათა ეკონომიკის განვითარების დონის გათვალისწინებით.

კოლმეურნეობათა გადასვლა მტს-ების მეშვეობით საწარმოო-ტექნიკური მომსახურებიდან ტრაქტორებისა და სხვა მანქანების ყიდვაზე უმნიშვნელოვანესი ეტაპია სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობაში, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებაში. ახლა ერთ ხელში თავს იყრის სახელმწიფოს კუთვნილი, მაგრამ კოლმეურნეობებისათვის სამუდამო სარგებლობაში გადაცემული მიწა და მანქანები იმ პირობებში, როცა გაბატონებულია სოციალისტური საწარმოო ურთიერთობა, როცა ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის მუშათა კლასს კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

მტს-ების რეორგანიზაცია სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე აყვანაა. ახლა კოლმეურნეობანი განმტკიცდნენ. მათი კადრები გაიზარდნენ. ამ პირობებში მტს-ებმა ბევრ მხრივ ამოწურეს თავიანთი ფუნქციები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ჩვენში დამყარებულ სისტემაში. წინათ სახელმწიფო კოლმეურნეობებს ხელმძღვანელობდა მტს-ების მეშვეობით. ახლა კი იგი უშუალო ზემოქმედებას მოახდენს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაზე ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების მიწოდების მეშვეობით.

4. განზრახულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურები თანდათანობით, სხვადასხვა რაიონის კონკრეტული პირობების მიხედვით რეორგანიზებულ იქნან შემკეთებელ-ტექნიკურ სადგურებად და მათ დაეკისროს კოლმეურნეობათა რთული ტექნიკის შეკეთება, კოლმეურნეობათა მომარაგება (მიყიდვის გზით) ახალი ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, საწვავით, სასუქით, შხამქიმიკატებითა და სხვა მასალით, აგრეთვე დაეკისროთ იმ მანქანების გაქირავება, რომლებიც კოლმეურნეობებს არა აქვთ. ამ სადგურებმა განსაზღვრულ ფასად უნდა იკისრონ კოლმეურნეობათა ტექნიკური მომსახურება, დახმარება გაუწიონ არსებული ტექნიკის სწორად გამოყენებაში.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

# საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

(გაგრძელება)

იმ რაიონებში, სადაც ახლა რამდენიმე მანქანა-ტრაქტორთა სადგურია, მათი რეორგანიზაციის შემდეგ მიზანშეწონილია ვიქონიოთ, როგორც წესი, ერთი შემკეთებელ-ტექნიკური სადგური. შემდგომ შეიძლება დავთანხმდეთ იმაზე, რომ განხორციელდეს ზოგიერთი რაიონის გამსხვილება, სადაც კოლმეურნეობათა რაოდენობა მცირეა. დიდ რაიონებში, სადაც წინათ რამდენიმე მანქანა-ტრაქტორთა სადგური იყო, ამ მტს-ების სახელოსნოები შეიძლება გადავაქციოთ ცენტრალური სახელოსნოს განყოფილებებად, ხოლო გარაჟები და სხვა სათავსები გამოვიყენოთ მაღაზიებად და საწყობებად მანქანების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების გაყიდვისათვის. იქ, სადაც ამის საჭიროება არ იქნება, აღნიშნული სათავსები შეიძლება მივყიდოთ კოლმეურნეობებს ან გადავცეთ საბჭოთა მეურნეობებს.

ამჟამად მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გარდა, ასრულებენ საირიგაციო, სამელიორაციო, საგზაო სამუშაოებს, აგებენ გუბურებსა და წყალსატევებს, აუმჯობესებენ მდელოებსა და საძოვრებს. რუსეთის სფსრ არაშავნიადაგიან ზოლში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკებსა და ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სხვა რაიონებში მტს-ები ასრულებენ ტორფისა და კირის დამზადების სამუშაოებს. სამხრეთ რაიონებში, სადაც განვითარებულია მებაღეობა და მევენახეობა, მტს-ები ასრულებენ პლანტაჟის სამუშაოებს. მთელი ეს სამუშაოები, როგორც წესი, ერთჯერადია და კოლმეურნეობათა მიერ მანქანების ყიდვა ასეთ სამუშაოთა საწარმოებლად მიზანშეწონილი არ არის, რადგან ისინი ცალკეულ მეურნეობაში მთლიანად არ იქნებიან დატვირთული. უფრო მიზანშეწონილია ეს მანქანები დარჩეს შემკეთებელ-ტექნიკურ სადგურებში, რათა სადგურებმა ისინი მიაქირაონ კოლმეურნეობებს ანდა შესაბამისი მუშაობა შეასრულებინონ ხელშეკრულებით. ცალკეულ რაიონებში, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთში, აგრეთვე შუა აზიისა და ამიერკავკასიის მთელ რიგ რაიონებში ბევრი კოლმეურნეობისათვის, ალბათ მიზანშეწონილი არ იქნება შეიძინოს ისეთი მანქანა, როგორიც არის მარცვლეულის კომბაინი, რამდენადაც ამ კოლმეურნეობებში მარცვლეულის კულტურების ნათესი ფართობები დიდი არ არის და ერთ კომბაინს შეუძლია მოემსახუროს რამდენიმე კოლმეურნეობას. ასეთ რაიონებში შემკეთებელ-ტექნიკურ სადგურებს უნდა ჰქონდეთ რამდენიმე კომბაინი იმ კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის, რომლებსაც მარცვლეულის მცირე ნათესები აქვთ.

კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვის და მტს-ების რეორგანიზაციის პრაქტიკული განხორციელების დროს, ცალკეულ რაიონებში ამ ღონისძიების განხორციელების ვადების განსაზღვრისას ყოველმხრივ უნდა გავითვალისწინოთ ადგილობრივი პირობები და სხვადასხვა რაიონებისა და კოლმეურნეობების თავისებურებანი, არ დავუშვათ შაბლონი, ადმინისტრირება და აჩქარება.

5. საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების გარდაქმნისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს ყველა მშრომელს, განამტკიცებს საბჭოთა საზოგადოების ურყევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ხელს შეუწყობს საბჭოთა ქვეყნის ძლიერების ზრდას.

მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ ფართოვდება კოლმეურნეობათა ეკონომიური ურთიერთობა სოციალისტურ მრეწველობასთან, იზრდება და სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება ქალაქის საწარმოო დახმარება სოფლისადმი. ახალ პირობებში ეს დახმარება განხორციელდება სხვადასხვა ფორმით და უფრო ფართო მასშტაბით — ტრაქტორებით, მანქანებით, სათადარიგო ნაწილებით, საწვავით, ტრანსპორტით, სასუქებით კოლმეურნეობათა მომარაგების გზით, კოლმეურნეობებისათვის სამრეწველო საწარმოთა საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების გადაცემის გზით. კოლმეურნეობებს შესაძლებლობა მიეცემათ განახორციელონ თავიანთი დაქვეთები ახალ, უფრო სრულყოფილ ტექნიკაზე, რომელიც შეესაბამება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონის მეურნეობათა სპეციფიკურ მოთხოვნილებებს.

კოლმეურნეობებისათვის მანქანების მიყიდვა განამტკიცებს კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საკუთრების განვითარებას, მათი განუყოფელი ფონდების ზრდას, რომლებიც საკოლმეურნეო წყობილების ძალისა და სიმტკიცის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენენ.

ცალკეულ ამხანაგებს, უმთავრესად ეკონომისტებს, მიაჩნდათ, რომ მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ გაუგებრობა წარმოიშობა ზოგიერთ თეორიულ საკითხში, კერძოდ, საკუთრების ორი ფორმის საკითხში. ისინი ემყარებოდნენ იმ წანამძღვარს, რომ კომუნიზმში გადასვლა მოითხოვს ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ საერთო-სახალხო საკუთრებას და საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე აგვყავდეს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება, და გამოთქვამდნენ შიშს, ვაი თუ კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვამ საერთო-სახალხო საკუთრების შესუსტება გამოიწვიოსო. იმ საკითხსაც კი აყენებდნენ, თუ სოციალისტური სოფლის მეურნეობის რომელი ფორმაა უფრო პროგრესული — საკოლმეურნეო თუ საბჭოთა მეურნეობისა? იმის გამო, რომ საბჭოთა მეურნეობას საფუძვლად უდევს საერთო-სახალხო საკუთრება, ცალკეული ამხანაგები გამოთქვამდნენ მოსაზრებას: კოლმეურნეობები ხომ არ უნდა გადავიყვანოთ საბჭოთა მეურნეობის ფორმის მეურნეობაზე? საკითხის ასეთი დაყენება არსებითად არასწორია, მცდარია. მართალია, რომ საერთო-სახალხო საკუთრება საკუთრების უმაღლესი ფორმაა. ასე ესმოდა იგი ლენინს, მაგრამ ამავე დროს ვ. ი. ლენინს არასოდეს არ დაუპირისპირებია საერთო-სახალხო საკუთრება კოოპერაციული საკუთრებისათვის. პირიქით, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საკუთრების ერთი და მეორე ფორმაც სოციალისტური ფორმაა და ერთიცა და მეორეც ემსახურება ხალხის ინტერესებს, ჩვენს საერთო მიზანს — კომუნისტური საზოგადოების აშენებას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთ მათგანს — საერთო-სახალხო საკუთრებას — განსაზოგადოების უფრო მაღალი დონე აქვს, ხოლო მეორეს — საკოლმეურნეო საკუთრებას — განსაზოგადოების ნაკლებ მაღალი დონე აქვს. მაშასადამე, საქმე ეხება იმას, რომ თანდათანობით ავამაღლოთ საკოლმეურნეო საკუთრების განსაზოგადოების დონე და ამრიგად ავიყვანოთ იგი საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე. ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ როგორც სახელმწიფო, ისე საკოლმეურნეო საკუთრების შემდგომი ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისა და განვითარების გზით.

აქედან ნათელია, რომ არ უნდა შეგვაშინოს საკოლმეურნეო საკუთრების გაძლიერებამ. თუ სოციალისტური საკუთრების ერთი ფორმა მის მეორე ფორმას დავუპირისპირეთ, თუ ვამტკიცეთ, რომ საკოლმეურნეო საკუთრების გაძლიერებით საერთო-სახალხო საკუთრებას ვასუსტებთ, შეიძლება აბსურდამდე მივიდეთ. არ შეიძლება ასეთი შეხედულებანი სწორად ვცნოთ, რადგან საბჭოთა ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია კოლმეურნეობათა შემდგომი განვითარებით, მათი ეკონომიკის აღმავლობით, საკოლმეურნეო წარმოების გაფართოებითა და საზოგადოების ინტერესებისათვის სიმდიდრის გადიდებით. რა არის სოფლის მეურნეობის აღმავლობა? უწინარეს ყოვლისა ეს არის საკოლმეურნეო საკუთრების გაძლიერება, კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების განმტკიცება. ამას ესწრაფვის პარტია, ახორციელებს რა ღონისძიებათა ფართო სისტემას კოლმეურნეობათა განვითარებისათვის, საკოლმეურნეო საკუთრების განმტკიცებისათვის. კოოპერაციული საკუთრება არ ეწინააღმდეგება ჩვენს თეორიულ დებულებებს კომუნისტური საზოგადოების აშენების გზების შესახებ, რადგან კომუნიზმისაკენ მივყავართ როგორც საერთო-სახალხო, ისე საკოლმეურნეო საკუთრების გაძლიერებას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ისინი, ვისაც აშინებს საკოლმეურნეო საკუთრების განმტკიცება, ამ საკუთრებას უყურებენ საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყებითი პერიოდის პოზიციებიდან, ავიწყდებათ რა, რომ საკოლმეურნეო საკუთრება ახლა არა მარტო რაოდენობის, არამედ ხარისხის მხრივაც სხვა გახდა, ვიდრე იგი 25-30 წლის წინათ იყო.

მართლაც, რას წარმოადგენდა საკოლმეურნეო საკუთრება, ვთქვათ, 1929-1930 წლებში? ეს იყო გლეხურ მეურნეობათა წარმოების განსაზოგადოებული საშუალებების — ცხენების, გუთნების, კავების, ფარცხების, ზოგიერთი სამეურნეო ნაგებობის უბრალო შეკრება. რასაკვირველია, მაშინაც საკოლმეურნეო საკუთრება პროგრესულ როლს ასრულებდა, რადგან შესაძლებლობას იძლეოდა განგვეხორციელებინა საზოგადოებრივი წარმოება და გამორიცხავდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. მაგრამ იმ პერიოდიდან დღევანდლამდე საკოლმეურნეო წყობილების განვითარებისა და განმტკიცებისათვის, მისი ეკონომიკის აღმავლობისათვის, საბჭოთა სოფლის მატერიალური და სულიერი ძალების აყვავებისათვის დაძაბული ბრძოლის წლებმა განვლო.

კოლმეურნეობათა ახლანდელი საკუთრება შექმნილია კოლმეურნეთა კოლექტიური შრომით მუშათა კლასის ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით, მთელი საბჭოთა ხალხის მონაწილეობით. იგი გაიზარდა და განმტკიცდა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების შედეგად. კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები ახლა შეადგენენ თითქმის 100 მილიარდ მანეთს ნაცვლად მილიარდნახევარი მანეთი საპაიო შენატანებისა კოლექტივიზაციის დაწყებითს პერიოდში.

ახორციელებდნენ რა კომუნისტური მშენებლობის გეგმებს, პარტიასა და მთავრობას არასოდეს არ მიაჩნდათ კოლმეურნეობები უცხო სხეულად სოციალისტურ ორგანიზმში, არამედ ყოველთვის მიაჩნდათ ისინი მეურნეობის სოციალისტური სისტემის შემადგენელ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაწილად.

სოციალისტური სახელმწიფოსა და კოლმეურნეობათა შორის ურთიერთობას არასოდეს არ ედო საფუძვლად წმინდა კომერციული ინტერესები, როგორც ეს ხდება ქალაქისა და სოფლის ურთიერთობაში კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ცნობილია, მაგალითად, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები კოლმეურნეობებში მუშაობაზე ხარჯავენ გაცილებით მეტს, რასაც იღებს ამ მუშაობისათვის სახელმწიფო. ზოგიერთი კოლმეურნეობა, განსაკუთრებით ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობები, ხშირად მტს-ის მუშაობისათვის ანგარიშსწორებისას ვალში რჩება სახელმწიფოს წინაშე. მაგრამ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ვალისათვის საჯარო ვაჭრობის წესით გაეყიდათ მეურნეობა. ყოველი კოლმეურნეობა, სუსტიც რომ იყოს, ჩვენი სოციალისტური მეურნეობაა, და სახელმწიფო ეხმარება მას. სახელმწიფო კოლმეურნეობებს ან გადაუდებდა ნატურსაზღაურის ვალის გადახდის ვადას, ან ჩამოაწერდა ამ ვალს.

სახელმწიფო კოლმეურნეობებისათვის ამზადებს კადრებს, ხარჯავს ამისათვის ასეულ მილიონობით მანეთს, რაც აგრეთვე მიზნად ისახავს კოლმეურნეობათა განმტკიცებას. სახელმწიფო კოლმეურნეობებს აძლევს მილიარდობით კრედიტს, ამასთან არა მკაცრ კომერციულ საფუძველზე. გარკვეულ პერიოდებში, როცა კოლმეურნეობები სუსტი იყვნენ, სახელმწიფომ ჩამოაწერა მათ ასეულ მილიონობით მანეთი ვალი. ბევრჯერ მიეცათ კოლმეურნეობებს სესხები თესლით, სურსათით და სხვ. მათ ნაწილს კოლმეურნეობები უკან აბრუნებდნენ, ხოლო საკმაოდ დიდი ნაწილი კიდევაც ჩამოეწერებოდათ ხოლმე.

ეს კარგად ესმით კოლმეურნეებს, მათ სწორად მიაჩნიათ, რომ თვითეული კოლმეურნეობის სიმდიდრე შექმნილია სახელმწიფოს გადამწყვეტი დახმარებით და რომ ეს სიმდიდრე, არსებითად, ეკუთვნის მთელ ხალხს. ყველა საბჭოთა ადამიანი აღიარებს, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება, საკოლმეურნეო სიმდიდრის ზრდა იმ უდიდესი მატერიალური მხარდაჭერის შედეგია, რომელსაც სახელმწიფო უწევს საკოლმეურნეო წყობილებას. მანქანებში, რომლებიც კოლმეურნეობებს აქვთ, მათს საწარმოო ნაგებობებში, მათი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებაში ჩაქსოვილია კოლმეურნის, მუშის, მეცნიერის შრომა. ამრიგად, კოლმეურნეობის სიმდიდრეს ხალხი ქმნიდა. თანამედროვე პირობებში კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები, არსებითად, უახლოვდება საერთო-სახალხო საკუთრებას. განუყოფელი ფონდების გადიდებით უწინარეს ყოვლისა დაინტერესებულია თვით კოლმეურნე გლეხობა. ეს შეესაბამება მის ძირეულ ინტერესებს. რაც უფრო დიდი იქნება განუყოფელი ფონდი, მით უფრო მეტი მანქანა იქნება კოლმეურნეობაში, რაც უფრო კარგად იქნება მექანიზებული შრომა, მით უფრო გაუადვილდებათ მუშაობა კოლმეურნეებს, მით უფრო გადიდდება შრომის ნაყოფიერება და უფრო სწრაფად განვითარდება საზოგადოებრივი მეურნეობა. თანამედროვე ტექნიკის ფართოდ გამოყენებაზე დაფუძნებული კოლმეურნეთა შრომა მიუახლოვდება თავისი ხასიათით ინდუსტრიული მუშების შრომას.

საბჭოთა ქვეყანაში განუწყვეტლივ იზრდება საერთო-სახალხო საკუთრება, გიგანტური ოდენობით დიდდება მოცულობა პროდუქციისა, რომელსაც აწარმოებს როგორც მრეწველობა, ისე საბჭოთა მეურნეობები, და საკოლმეურნეო საკუთრების ახლანდელი გაძლიერება, კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვა რაიმე არსებითს ცვლილებას ვერ შეიტანს სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის თანაფარდობაში. კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვა პირობებს ქმნის იმისათვის, რომ კიდევ უფრო ჰარმონიულად განვითარდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანა საერთო-სახალხო საკუთრებასთან ერთად განვავითაროთ და განვამტკიცოთ საკოლმეურნეო საკუთრება. ეს შეესაბამება ხალხის ინტერესებს, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს. შემდგომ, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის კვალობაზე, საკოლმეურნეო საკუთრება განვითარდება საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე. რაც უფრო სწრაფად განვავითარებთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალებს, მით უფრო მალე დადგება ის მომენტი, როცა, არსებითად, გაქრება სხვაობა საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო საკუთრებას შორის. ამ მიმართულებით უნდა განვიხილოთ მტს-ებიდან კოლმეურნეობებში ტექნიკის გადაცემაც, როგორც ღონისძიება, რომელმაც უნდა განამტკიცოს საკოლმეურნეო საკუთრება ხალხის ინტერესებისათვის.

ნათქვამიდან ცხადია, რომ არ შეიძლება საკოლმეურნეო საკუთრება დავუპირისპიროთ საერთო-სახალხო საკუთრებას, მაშასადამე, აგრეთვე არ შეიძლება დავუპირისპიროთ ერთიმეორეს სოციალისტურ საწარმოთა ორი ტიპი სოფლის მეურნეობაში — კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება მექანიკურად დავსვათ თანასწორობის ნიშანი საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს შორის. საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფო საწარმოებია, რომლებსაც წარმოების ორგანიზაციის უფრო მაღალი დონე აქვთ. საბჭოთა მეურნეობები მიწათმოქმედებაში მსხვილი სოციალისტური წარმოების გაძღოლის კარგი სკოლა იყო კოლმეურნეობებისათვის. საბჭოთა მეურნეობებს, როგორც უკანასკნელი წლების გამოცდილება გვიჩვენებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის დიდი შესაძლებლობანი აქვთ. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების დროს ისინი მეურნეობის გაძღოლის ძირითად ფორმას წარმოადგენენ. ამასთან, საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აძლევენ უფრო იაფ მარცვლეულსა და ზოგიერთ სხვა პროდუქტებს. საბჭოთა მეურნეობებმა კვლავაც უნდა მისცენ კოლმეურნეობებს უფრო სრულყოფილი და კულტურული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაგალითი. სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობებში, ისევე როგორც საბჭოთა მეურნეობებში, მოიპოვება წარმოების აღმავლობის დაუშრეტელი რეზერვები.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე მეურნეობა უნდა ვმართოთ სულ უფრო დემოკრატიულ საფუძვლებზე. მეურნეობის გაძღოლის ამ სოციალისტურ პრინციპს შეესაბამებიან როგორც კოლმეურნეობები, ისე საბჭოთა მეურნეობები. საბჭოთა მეურნეობებში მუშათა კოლექტივების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის გადიდების გზით შეიძლება კიდევ უფრო ავამაღლოთ თვითეული მუშის აქტივობა მეურნეობის მართვაში.

კოლმეურნეობის ფორმა აგრეთვე შეესაბამება ამ სოციალისტურ პრინციპს. კოლმეურნეობაში არის გამგეობა, რომელსაც კოლმეურნეები ირჩევენ და რომელიც ანგარიშვალდებულია მათ წინაშე. ყველაზე დიდმნიშვნელოვან ყველა საკითხს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება წყვეტს.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ინტერესებისათვის საჭიროა განვამტკიცოთ და განვავითაროთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სრულად გამოვიყენოთ მეურნეობის ორივე ფორმის შესაძლებლობანი, რათა უფრო სწრაფად შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე, რათა წარმატებით გადავჭრათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

## IV.

## კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვის პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების ზოგიერთი საკითხის შესახებ

1. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხია კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიყიდვის წესისა და პირობების შემუშავება. ეს მუშაობა არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც ტექნიკური საქმე: მოვაწყოთ ინვენტარიზაცია, დავაწესოთ ფასები, მივიღოთ განაცხადები კოლმეურნეობებისაგან. კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვა დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. მისი გადაჭრა ეხება მილიონობით კოლმეურნის ინტერესებს, აგრეთვე სახელმწიფოს ინტერესებს.

ზოგიერთს მიაჩნია, რომ ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ ტექნიკის გაყიდვის წესი, განსაზღვრონ თვითეული ზონისათვის ამ მუშაობის შესრულების ვადები, სწრაფად დაიწყონ და დაამთავრონ იგი. ასეთი წინადადება სწორი როდია. ცენტრალურმა ორგანოებმა კიდევაც რომ სცადონ გეგმის შედგენა ყველა რაიონისათვის, ამრიგად დასახულ გეგმას, ალბათ, სერიოზული ნაკლოვანებები ექნება, რადგან ძნელია ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების ყველა თავისებურების ჯეროვნად გათვალისწინება ცენტრიდან. ამიტომ სწორი იქნება, რომ თვითეულმა საოლქო კომიტეტმა და საოლქო აღმასკომმა, სამხარეო კომიტეტმა და სამხარეო აღმასკომმა, საერთო პრინციპების მიხედვით, შეიმუშაონ თავიანთი ოლქისათვის, მხარისათვის კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორებისა და სხვა მანქანების მიყიდვის მოსაწყობად, ამასთან გაითვალისწინონ ის თავისებურებანი, რომლებსაც მათი ზონებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს გეგმები უნდა განიხილონ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა.

იბადება კითხვა — მტს-ების რეორგანიზაცია განვახორციელოთ ერთბაშად თუ ეტაპობრივად. მტს-ების განზრახული რეორგანიზაცია ძალიან დიდი და პასუხსაგები საქმეა, და აქ აჩქარებას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. ამ საკითხს უნდა მივუდგეთ ფრთხილად, ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ რაიონის თავისებურებათა გათვალისწინებით. წინასწარი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ მეტ წილ კოლმეურნეობებს, განსაკუთრებით შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, უკრაინასა და ყუბანში, მთელ რიგ სხვა რაიონებში შეუძლიათ ერთბაშად შეიძინონ ტექნიკა მტს-ში. ცალკეულ რაიონებში კი, განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში, ასეთი კოლმეურნეობები ნაკლები იქნება. ამიტომ ზოგიერთ ზონაში, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია გარკვეული დროით დავტოვოთ მტს-ები, რათა მტს-ების მომსახურებაში მყოფი ყველა კოლმეურნეობის ეკონომიკის აღმავლობის კვალობაზე შესაძლებელი გახდეს თანდათანობით მივყიდოთ მათ ტექნიკა. არ შეიძლება გონივრულად მივიჩნიოთ მექანიკური მიდგომა ამ საკითხისადმი, მისწრაფება, რომ ერთსა და იმავე დროს მოვახდინოთ ყველა მტს-ის რეორგანიზაცია. არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ ძალუძს იყიდოს, და რაც მთავარია, არ ძალუძს გამოიყენოს ტექნიკა.

როგორც ჩანს, იქაც, სადაც დატოვებული იქნება მტს-ები, ცალკეულ კოლმეურნეობებს შეეძლებათ ტექნიკის ყიდვა. ამასთან დაკავშირებით რამდენადმე შეიცვლება მტს-ების სტრუქტურა და შემცირდება მტს-ების შტატები. რა ვადა იქნება საჭირო იმისათვის, რომ რაიონებში, სადაც ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებია, მოვახდინოთ მტს-ების რეორგანიზაცია და მივყიდოთ ტექნიკა კოლმეურნეობებს? შესაძლოა, 2-3 წელი, ხოლო ზოგან მეტიც. აქ აჩქარება არ არის საჭირო.

საკოლმეურნეო წარმოების ზრდასთან და მისი საქონლიანობის გადიდებასთან დაკავშირებით ანარიცხები კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდებში 1958 წელს დაახლოებითი გაანგარიშებით შეადგენს 25 მილიარდამდე მანეთს. კოლმეურნეობებისათვის მისაყიდი მანქანების მთელი ღირებულება გაცვეთის გათვალისწინებით საორიენტაციოდ შეადგენს 18-20 მილიარდ მანეთს. შესაბამისი განვადების დაწესებით ასეთი ოდენობის ხარჯები ტექნიკის შესაძენად სავსებით შესაძლებელია საკოლმეურნეო წარმოების უკვე ახლანდელი დონისას, ხოლო კოლმეურნეობათა შემოსავლის შემდგომ ზრდასთან დაკავშირებით მით უმეტეს შესაძლებელი იქნება.

კოლმეურნეობებისათვის მანქანების მიყიდვისას საჭიროა გავითვალისწინოთ მათი ტექნიკური მდგომარეობა, მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ახალ მანქანებთან ერთად მტს-ებში ცოტა როდია ძველი, მნიშვნელოვნად გაცვეთილი მანქანები. ამ მანქანებს უნდა დავაკლოთ ფასი მათი გაცვეთის გათვალისწინებით. როგორც ჩანს, რაიაღმასკომებში მიზანშეწონილია შეიქმნას ავტორიტეტიანი შემფასებელი კომისიები, რომლებიც პასუხს აგებენ მანქანების სწორი შეფასებისათვის. კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვის შემდეგ შემკეთებელ-ტექნიკური სადგურების მთელი საქმიანობა უნდა მოეწყოს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

როგორც ჩანს, საჭირო არ იქნება დაველოდოთ ფასების საბოლოო დადგენას და შეიძლება ახლავე მივყიდოთ ტრაქტორები და სხვა მანქანები კოლმეურნეობებს, რომლებსაც შეუძლიათ მათი შეძენა და რაციონალურად გამოყენება. როცა მანქანების ფასები დაზუსტდება, კოლმეურნეობები მოახდენენ შესაბამის გადაანგარიშებას.

ახალი ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები 1958 წლიდან უნდა მივყიდოთ კოლმეურნეობებს, როგორც წესი, ნაღდ ანგარიშზე, ან სხვადასხვა ვადის კრედიტის მიცემით კოლმეურნეობის ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით. კოლმეურნეობებისათვის მისაყიდი ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფასების დაწესებისას უნდა დავემყაროთ იმას, რომ ეს ფასები თვითღირებულებაზე რამდენადმე მეტი იყოს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მრეწველობას ჰქონდეს დაგროვება შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, რადგან სოციალისტური ინდუსტრია მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველია.

2. ახალ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებს. სოფლის მეურნეობა დიდძალ სხვადასხვა მატერიალურ ფასეულობათა — მანქანების, საწვავის, სათადარიგო ნაწილების, ლითონისა და სხვა მრავალფეროვანი საქონლის მომხმარებელია.

ამჟამად კოლმეურნეობათა მომარაგებას მანქანებით, საწვავით, სათადარიგო ნაწილებით და მასალებით სოფელ რაიონებში ერთსა და იმავე დროს ეწევიან სხვადასხვა უწყების — სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამომხმარებლო კოოპერაციის, ავტოტრაქტორგასაღების მთავარი სამმართველოს და ნავთობგასაღების მომმარაგებელი და სავაჭრო ორგანიზაციები. უნდა შევცვალოთ მანქანებითა და საწარმოო საქონლით კოლმეურნეობათა მომარაგების არსებული ორგანიზაცია, მივუახლოოთ იგი კოლმეურნეობებს და თავი მოვუყაროთ ერთ ადგილზე. ასეთი ადგილი, როგორც ჩანს, უნდა გახდეს შემკეთებელ-ტექნიკური სადგურები.

მიზანშეწონილია საქმე ისე მოეწყოს, რომ კოლმეურნეობას შეეძლოს დაუკვეთოს და იყიდოს შემკეთებელ-ტექნიკურ სადგურში საჭირო მარკის ტრაქტორი, ავტომანქანა, სათადარიგო ნაწილები, საწვავი, საცხები მასალები, ლითონი, სასუქები, შხამქიმიკატები და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო სხვა საქონელი. საჭიროა, რომ ზოგიერთ შემკეთებელ-ტექნიკურ სადგურში იყოს ახალი მარკების მანქანების ნიმუშები, რათა მოქმედებაში უჩვენონ ისინი; დროზე და საკმაო რაოდენობით უნდა გამოიცეს კატალოგები, ბიულეტენები, ცნობარები, პლაკატები და ფურცლები ახალი მანქანების შესახებ, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ინერგება.

გულმოდგინედ უნდა მოვიფიქროთ სათადარიგო ნაწილებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგების სისტემა. აქ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, ჩვენს მრეწველობას. მათ მთლიანად უნდა უზრუნველყონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები როგორც ახალი, ისე რესტავრირებული სათადარიგო ნაწილებით და მოწყობილობით. როგორც ჩანს, დეტალების რესტავრაცია უნდა ხდებოდეს ცენტრალიზებული წესით, რათა იგი მაღალხარისხოვანი იყოს.

3. მანქანებით სოფლის მეურნეობის მომარაგების ახალი წესი ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოების უკეთეს ორგანიზაციას. ამჟამად ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი ესწრაფვის მხოლოდ იმას, რომ გამოუშვას მანქანა, და ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, შეესაბამება თუ არა მანქანა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების თანამედროვე დონეს, ეკონომიურად ხელსაყრელი იქნება თუ არა ეს მანქანა კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ავიღოთ ასეთი მაგალითი. კოლმეურნეობებმა პურის ცალცალკე აღება ფართო მასშტაბით დაიწყეს 1955 წელს და მაშინვე ნათელი გახდა, რომ თვითმავალ კომბაინებს დიდი უპირატესობა აქვთ მისაბმელ კომბაინებთან შედარებით. მაშინ უკვე შემუშავებული იყო კარგი თვითმავალი კომბაინის ახალი კონსტრუქცია. ამ თვითმავალს მართავს ერთი კაცი მისაბმელ კომბაინზე მომუშავე ხუთის ნაცვლად, ხარჯავს 30 პროცენტით ნაკლებ საწვავს, იწონის მისაბმელ კომბაინზე 40 პროცენტით ნაკლებს. თვითმავალი კომბაინის აშკარა უპირატესობის მიუხედავად, როსტოვის იმავე ქარხანამ 1957 წელს დაიწყო ტლანქი, ნაკლებად ეფექტიანი მისაბმელი კომბაინების გამოშვება. სახელმწიფომ დიდი სახსრები დახარჯა ამ კომბაინის ათვისებაზე, ახლა კი, სულ ერთი წლის შემდეგ, მისი წარმოება უნდა შეწყდეს, რათა დაიწყოს თვითმავალი კომბაინის გამოშვება, რომელიც ხელსაყრელია სახელმწიფოსათვის და კოლმეურნეობებისათვის. ბევრი ქარხანა უშვებს მოუთავებელ მანქანებს, რომლებსაც ცუდად იყენებენ სოფლის მეურნეობაში, ზოგჯერ წლობით უქმად უდგათ, ხოლო შემდეგ ჯართად აბარებენ. ახალ პირობებში ასეთი ქარხნები შეიძლება ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათს პროდუქციას კოლმეურნეობები არ იყიდიან და მაშინ ქარხნებს გარდუვალად მოუხდებათ გააუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება.

მანქანების გამოშვების დროს უნდა გავითვალისწინოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკრეტული მოთხოვნილებანი. კოლმეურნეობას ესაჭიროება, რომ მანქანების მცირე რაოდენობით შეასრულოს რაც შეიძლება მეტი სახეობის სამუშაოები, დახარჯოს კოლმეურნეთა ნაკლები შრომა. საქმე ეხება იმას, რომ ტრაქტორს საჭირო რაოდენობით ჰქონდეს საკიდი იარაღები, რომლებსაც თვითონ ტრაქტორისტი მართავს უმიმბმელოდ, რომ გამოვუშვათ მანქანები ნიადაგისა და ჰავის სხვადასხვა ზონების გათვალისწინებით.

4. კოლმეურნეობებისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტექნიკის მიყიდვა და კოლმეურნეობებთან მტს-ების სამეურნეო ანგარიშის ურთიერთობის დანერგვა არსებით ცვლილებებს შეიტანს საკოლმეურნეო ფინანსური მეურნეობის ორგანიზაციაში. საჭირო ხდება სერიოზულად გაფართოვდეს კოლმეურნეობებში საკუთარი საბრუნავი საშუალებანი. საკუთარი საბრუნავი საშუალებანი კოლმეურნეობებს ესაჭიროებათ ნავთობპროდუქტების, სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მასალების მუდმივი მინიმალური მარაგის შესაქმნელად, აგრეთვე მომავალი წლის მოსავლისათვის სასოფლო-სა-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ

## თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

(დასასრული)

მეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად. როგორც ჩანს, ახალ პირობებში საჭიროა გავაფართოოთ კოლმეურნეობათა საწარმოო ხარჯების საბანკო დაკრედიტება.

5. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ზოგიერთი საკითხი. დამზადების არსებული სისტემის დროს კოლმეურნეობებთან სახელმწიფოს ურთიერთობის გარკვეული ფორმები შეიქმნა. სახელმწიფო მომსახურებას უწევს კოლმეურნეობებს მტს-ების მეშვეობით, ტრაქტორებითა და სხვა მანქანებით ამუშავებს საკოლმეურნეო მიწას, უზრუნველყოფს საწვავითა და სასუქებით, ერთი სიტყვით, ყოველივე იმით, რაც კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი წარმოების გაძლოლისათვის ესაჭიროებათ.

თავის მხრივ, კოლმეურნეობები საბჭოთა მეურნეობებთან ერთად უზრუნველყოფენ ქვეყნის მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ამასთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საშუალებით შემოდის მტს-ების მუშაობის ნატურალური ანაზღაურების სახით. საკმარისია ითქვას, მაგალითად, რომ ნატურანაზღაურების წესით მარტო მარცვლეული შემოდის ყოველწლიურად დაახლოებით ერთი მილიარდი ფუთი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომელიც დღემდე კოლმეურნეობებისაგან შემოდიოდა მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების სახით, ახლა სახელმწიფო უშუალოდ კოლმეურნეობებში მიიღებს მანქანებისათვის, სათადარიგო ნაწილების, საწვავის, სასუქებისათვის და ა. შ. ამასთან ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს უნდა იღებდეს არა ნაკლებ, არამედ მეტი ოდენობით, ვიდრე წინათ, მაგრამ სხვა საფუძველზე, ანგარიშსწორების სხვა სისტემის პირობებში, რომელიც უფრო მოქნილი უნდა იქნას.

უეჭველია, რომ თუ გონივრულად მივუდგებით ახალ პირობებში დამზადების ორგანიზაციას, სახელმწიფო შეძლებს დროზე მიიღოს საჭირო რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

დამზადების სახელმწიფო გეგმის დაწესებისას ამოსავლად უნდა ავიღოთ მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების ის რაოდენობა, რომელიც იქმნება ყველა სახეობის შემოსვლისაგან, ე. ი. სავალდებულო ჩაბარების, სახელმწიფო შესყიდვის, კონტრაქტაციისაგან და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის ნატურალური ანაზღაურებისაგან. ეს რაოდენობა უნდა იყოს ამოსავალი.

როდესაც განვსაზღვრავთ სხვადასხვა ზონის მიხედვით პროდუქტების დამზადების მოცულობას, არ უნდა ავიღოთ უკანასკნელ წელს პროდუქციის შემოსვლის დონე და მექანიკურად არ უნდა გადავიტანოთ ეს დონე შემდეგი წლისათვის. სოფლის მეურნეობაში ყოველი წელიწადი ერთნაირი როდია. ამიტომ, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს გამოვიყვანოთ 2-3 წლის დამზადებათა საშუალო ციფრი, რათა უფრო ობიექტურად გავითვალისწინოთ ქვეყნის სხვადასხვა ზონის თავისებურებანი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის განსაზღვრისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, თუ როგორია მოცემული წლის მეტეოროლოგიური პირობები ქვეყნის სხვადასხვა ზონასა და რაიონში. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავითვალისწინოთ მოცემული წლის არახელსაყრელი პირობები ზოგ რაიონში და ყველაზე ხელსაყრელი პირობები სხვა რაიონებში, რათა ყოველწლიურად შევიტანოთ საგეგმო დავალებებში შესაბამისი კორექტივები. მაგრამ სავალდებულო უნდა იქნას ის წესი, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საერთო მოცულობა აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს ყველა მოთხოვნილებას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მოცულობა დამოკიდებულია წარმოების დონეზე. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია ქმნის პირობებს მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ახალი სისტემის პირობებში ტექნიკა გამოყენებულ იქნება უფრო რაციონალურად, ამაღლდება შრომის ნაყოფიერება, გაიზრდება პროდუქტების წარმოება. ამან უნდა გამოიწვიოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. შედეგად სახელმწიფო მიიღებს რეალურ შესაძლებლობას, რომ შეამციროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის ფასები და ამით გააუმჯობესოს ხალხის კეთილდღეობა.

6. ის საკითხი, თუ რა ფორმით ვაწარმოოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შემდეგ, გულდასმით უნდა შევისწავლოთ, რათა შევიმუშაოთ კონკრეტული წინადადებანი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის შესაბამისი დადგენილების მისაღებად. იგივე შეიძლება ითქვას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დასამზადებელ და შესასყიდ ფასებზე.

7. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდასთან ერთად შეიცვლება დამზადების ხასიათი. ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებანი მთელ რიგ პროდუქტებზე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება, სახელმწიფო იძულებულია დააწესოს დამზადების გეგმები თვითეული რაიონისათვის. მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ახლა ჩვენში შექმნილია პირობები, რომ სწრაფად ამაღლდნენ კოლმეურნეობები, განვითარდეს მათი ეკონომიკა. მაშასადამე, წლითიწლობით გაიზრდება აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქტების რაოდენობა. შორს არ არის ის დრო, როცა მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებანი ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე და შეიქმნება სავსებით საკმარისი რეზერვები. სახელმწიფოს მიეცემა შესაძლებლობა იყიდოს მარცვლეული, ხორცი და სხვა პროდუქტები იმ რაიონებში, სადაც ისინი უფრო იაფი იქნება იმიტომ, რომ მათი თვითღირებულება ნაკლებია. მაშინ შეიქმნება პირობები წარმოების უფრო ფართო სპეციალიზაციისათვის. ხოლო სპეციალიზაცია, როგორც ცნობილია, საშუალებას იძლევა წარმოება ვიქონიოთ დიდად მექანიზებულ საფუძველზე, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ წარმოების ხარჯები პროდუქციის ერთეულზე. რაც მეტი იქნება პროდუქტები, რაც ისინი უფრო იაფი იქნება, მაშასადამე, უკეთ იცხოვრებს ხალხი, მაშასადამე, იგი მთლიანად იგრძნობს იმ სიკეთეს, რომელიც მისთვის კომუნისტურ საზოგადოებას მოაქვს.

### V.

### პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანები მტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით

1. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მტს-ების რეორგანიზაციის და კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვის ყველა საჭირო ღონისძიების მომზადებისა და პრაქტიკული განხორციელებისათვის ეკისრებათ საოლქო კომიტეტებს, საოლქო აღმასკომებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო კომიტეტებს და სამხარეო აღმასკომებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს. მათ უწინარეს ყოვლისა ღრმად უნდა შეისწავლონ თვითეულ რაიონში, თუ რომელ კოლმეურნეობას ძალუძს თავისი ეკონომიური შესაძლებლობათა მიხედვით უკვე წელს იყიდოს ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები და გამოიყენოს ისინი როგორც ნამდვილმა მეურნემ, რომელ კოლმეურნეობებს დასჭირდებათ მეტი ვადა ტექნიკის შესაძენად და რომელი კოლმეურნეობებისათვის არის მიზანშეწონილი დროებით დარჩეს მტს-ების მხრივ საწარმოო-ტექნიკური მომსახურების არსებული წესი. მხოლოდ ასეთი ყოველმხრივი შესწავლა მდგომარეობისა ცალკეულ რაიონებსა და კოლმეურნეობებში შესაძლებელს გახდის წარმატებით გადავიდეთ კოლმეურნეობათა მუშაობის ახალ პირობებზე.

მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ძირითადი ყურადღება, ბუნებრივია, მიექცევა იმ კოლმეურნეობებისადმი უშუალო ხელმძღვანელობას, რომლებსაც საკუთარი ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები აქვთ, ამ მეურნეობებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევას ახლებურად მუშაობის მოწყობაში. მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობანი. ამ კოლმეურნეობებს წინანდელზე მეტად, უფრო კონკრეტულად უნდა უხელმძღვანელონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, რათა უფრო სწრაფად წამოეწიოთ ისინი მოწინავეთა დონემდე. აგრეთვე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ შემკეთებელ-ტექნიკურ სადგურებად მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შემდეგ შემკეთებელ-ტექნიკურ სადგურებს დარჩებათ კოლმეურნეობათა საწარმოო და ტექნიკური მომსახურების დიდმნიშვნელოვანი ფუნქციები. პარტიის რაიკომები და რაიაღმასკომები ყოველდღიურად და ღრმად უნდა სწვდებოდნენ შემკეთებელ-ტექნიკური სადგურების საქმიანობას, ახორციელებდნენ კონტროლს მათი მუშაობისადმი, უზრუნველყოფდნენ კოლმეურნეობათა შეუფერხებელ მომარაგებას მანქანებით, სათადარიგო ნაწილებით, საწვავით და სხვა მასალებით. ამოცანა ის არის, რომ მას შემდეგ, რაც გაუქმდება პარტიის რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონების მიხედვით და მოხდება მტს-ების რეორგანიზაცია, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ კიდევ უფრო უნდა მიუახლოვდეს საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებს.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ფართოდ განმარტონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის განზრახული გარდაქმნის აზრი და მნიშვნელობა, მოაწყონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებათა საყოველთაო-სახალხო განხილვა, წარმართონ სოფლის მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა სოფლის მეურნეობის განვითარებაში ახალ წარმატებათა უზრუნველყოფისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის უთუო შესრულებისათვის.

2. მტს-ების რეორგანიზაცია ავალებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სპეციალისტებისა და მექანიზატორების კადრების სწორი გამოყენებისათვის.

ამჟამად მანქანა-ტრაქტორთა სადგურებშია 186 ათასი ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და დაახლოებით მილიონნახევარი მექანიზატორი. მტს-ების რეორგანიზაციის მსვლელობაში ამ მუშაკთა უმრავლესობა თანდათან გადავა კოლმეურნეობებში. ტრაქტორისტების, კომბაინერებისა და სხვა მუშაკების გადასვლა მტს-ებიდან კოლმეურნეობებში გააძლიერებს კოლმეურნეობათა ტექნიკურ კადრებს, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს საკოლმეურნეო წარმოების ტექნიკურ ხელმძღვანელობას. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ, რომ მტს-ებიდან განთავისუფლებული სპეციალისტები და მექანიზატორები განაწილებულ იქნან საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. პირველ რიგში ხელმძღვანელი კადრებით უნდა განვამტკიცოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შევინარჩუნოთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში აღზრდილი მექანიზატორთა კადრები. კოლმეურნეობათა გამგეობები, პარტიული ორგანიზაციები გულისხმიერად და მზრუნველობით უნდა მოეპყრონ ტრაქტორისტებსა და სხვა მუშაკებს, რომლებიც ტექნიკის მიყიდვასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში გადავლენ. უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა მექანიზატორთა მატერიალური უზრუნველყოფა შესაბამის დონეზე იყოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან კოლმეურნეობები, სადაც შრომადღის ანაზღაურება საკმარისი არ არის. ასეთ კოლმეურნეობებში ტრაქტორისტების შრომის ანაზღაურება შეიძლება უფრო მცირე აღმოჩნდეს, ვიდრე მტს-ში იყო საგარანტიო მინიმუმით. გათანაბრება რომ არ იქნას დაშვებული და არ დავკარგოთ მექანიზატორთა კადრები, ასეთ კოლმეურნეობებს უნდა ვურჩიოთ გამონაკლისის სახით დააწესონ ტრაქტორისტებისა და სხვა მექანიზატორებისათვის ანაზღაურების საგარანტიო მინიმუმი, რათა იგი არ იყოს იმ მინიმუმზე ნაკლები, რომელსაც იღებდნენ ტრაქტორისტები მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

ახალ პირობებში კოლმეურნეობებში სამუშაოთა მოცულობა მნიშვნელოვნად ფართოვდება. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კისრულობს ბევრ ფუნქციას, რომლებსაც წინათ მტს-ის დირექტორი ასრულებდა. კიდევ უფრო ძლიერდება კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების როლი. თვითეულ კოლმეურნეობას სათავეში უნდა ედგეს მომზადებული მუშაკი, რომელიც კარგად იცნობს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკას, რომელსაც შეუძლია კვალიფიციურად გაერკვეს არა მარტო მიმდინარე საქმეებში, არამედ წარმოების პერსპექტიული განვითარების საკითხებშიც.

მეტი წილი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები მომზადებული არიან იმისათვის, რომ კარგად გაართვან თავი მუშაობის გადიდებულ მოცულობას. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი თავმჯდომარეებიც, რომლებსაც გაუძნელდებათ მეურნეობის ხელმძღვანელობა ახალ პირობებში. ამ კოლმეურნეობებში შერჩეულ უნდა იქნან უფრო მომზადებული და გამოცდილი მუშაკები, კერძოდ, მტს-ების დირექტორები და სპეციალისტები. ბევრად ძლიერდება კოლმეურნეობათა ბრიგადირების როლიც. ამიტომ ბრიგადირთა შემადგენლობა საჭირო შემთხვევებში უნდა შეივსოს გამოცდილი ორგანიზატორებითა და სპეციალისტებით.

3. კომუნისტურმა პარტიამ დიდი მუშაობა გასწია, რათა შესრულებულიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი მომზადებული კადრებით რაიონული რგოლის განმტკიცების შესახებ. ამჟამად პარტიის რაიკომებსა და რაიაღმასკომებში ხელმძღვანელ პოსტებზე მეტწილად არიან გამოცდილი მუშაკები, რომლებმაც გაიარეს ორგანიზატორული მუშაობის სერიოზული სკოლა, საქმით დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ მებრძოლურად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ. მნიშვნელოვნად ამაღლდა რაიონული, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკთა ზოგადი განათლების დონე. პარტიის სასოფლო რაიონების რაიკომების მდივნების 85 პროცენტზე მეტს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა 76 პროცენტზე მეტს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს.

რაიონული რგოლის განმტკიცება კვლავაც უნდა იყოს ოლქების, მხარეებისა და მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში. საჭიროა მზრუნველობით გამოვზარდოთ და უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა პოსტებზე რაიონებში ახალგაზრდა, ნიჭიერი ორგანიზატორები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს პრაქტიკული მოღვაწეობით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში და რომლებიც კარგად იცნობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, უყვართ მუშაობა მასებთან.

ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს რაიაღმასკომების შემდგომ განმტკიცებას კვალიფიციური კადრებით. თუ წინათ კოლმეურნეობათა საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი მტს-ებში წყდებოდა, ახლა ამ საკითხებზე უშუალოდ უნდა იმუშაონ რაიაღმასკომებმა. საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა რაიონული საბჭოთა ორგანოების სტრუქტურის სრულყოფისათვის. იმასთან დაკავშირებით, რომ უქმდება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საბჭოები, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებდნენ საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში, საჭირო ხდება რაიაღმასკომებთან შეიქმნას საწარმოო-ტექნიკური საბჭოები ან სხვა ორგანოები სოფლის მეურნეობის საკითხებზე, რომლებშიც შევლენ კოლმეურნეობების, მტს-ების, შემკეთებელ-ტექნიკური სადგურების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები, სპეციალისტები და წარმოების ნოვატორები. საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში მიზანშეწონილია მოეწყოს აზრთა გაზიარება იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია რაიონული საბჭოთა ორგანოების სტრუქტურასთან, რათა გამოინახოს ამ საკითხის გადაწყვეტის უფრო სრულყოფილი ორგანიზაციული ფორმა.

4. მტს-ების მუშაობის გარდაქმნისა და კოლმეურნეობათა შემდგომი განვითარების ყველა ღონისძიების განხორციელებაში პარტიის საიმედო დასაყრდენი არიან კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ და განმტკიცდნენ. 1954 წლიდან 1958 წლამდე კომუნისტების რიცხვი კოლმეურნეობებში 230 ათასზე მეტი კაცით გადიდდა. მტს-ებიდან კოლმეურნეობებში მექანიზატორთა და სპეციალისტთა უდიდესი არმიის გადასვლის შემდეგ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო განმტკიცდებიან და გაიზრდება მათი გავლენა კოლმეურნეობათა ცხოვრების ყველა მხარეზე.

უნდა ავამაღლოთ ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობა კოლმეურნეობებში საქმეთა მდგომარეობისათვის, მათი ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, იმისათვის, რომ ისინი დროზე და მთლიანად ასრულებდნენ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მიზანი უნდა იყოს კოლმეურნეობებისათვის გადაცემული ტექნიკის სწორი გამოყენება, ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, შეჯიბრების გაშლა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და თვითეულ ჰექტარ მიწაზე მაქსიმუმი პროდუქციის მიღება შრომისა და სახსრების უმცირესი დანახარჯების პირობებში. საჭიროა ყოველდღიურად ვზარდოთ ყველა კოლმეურნე შეგნებული დისციპლინის, ტექნიკისადმი ყაირათიანი, მზრუნველი დამოკიდებულების სულისკვეთებით, თავისი კოლმეურნეობის ბედისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. თანმიმდევრულად უნდა განვახორციელოთ საკოლმეურნეო დემოკრატია, უფრო ფართოდ ჩავაბათ კოლმეურნენი თავიანთი კოლმეურნეობის საქმეთა მართვაში.

არ განვსაზღვრავთ რა პოლიტიკურ მუშაობას მარტო კრებების, ლექციების, მოხსენებების მოწყობით, ცოცხალი კავშირი უნდა ვიქონიოთ თვითეულ ადამიანთან, ვიმუშაოთ კოლმეურნეთა ცალკეულ ჯგუფებთან — მექანიზატორებთან, მემინდვრეებთან, მწველავებთან, მელორეებთან მათი მოთხოვნილებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. პოლიტიკურ მუშაობაში პირად მაგალითს უნდა აჩვენებდეს პარტიული და საბჭოთა აქტივი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ახალგაზრდობის აღზრდას, რომელიც კოლმეურნეთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის უფრო აქტიური მონაწილეობა კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობაში, ყოველი ღონისძიებით განავითარონ და მხარი დაუჭირონ კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივას, ქალიშვილებისა და ჭაბუკების ძვირფას თაოსნობას, უფრო იზრუნონ ახალგაზრდობის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. უნდა შეიქმნას სპეციალური კურსები იმისათვის, რომ ახალგაზრდებისაგან, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, მომზადდეს კოლმეურნეობებისათვის საჭირო სპეციალისტები, განსაკუთრებით მექანიზმებზე სამუშაოდ.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მიღწეული დიდი წარმატებანი იმის შედეგია, რომ კომუნისტური პარტია, შეიმუშავებს რა სწორ პოლიტიკას, დაუცხრომლად ეწევა უდიდეს ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მასებში. ახალი ამოცანები, რომლებიც ისახება მტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, პარტიული ორგანიზაციებისაგან, ყველა კომუნისტისაგან მოითხოვენ განუწყვეტლივ სრულყონ და აუმჯობესონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში.

★ ★

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, დასახა რა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გაშლილი პროგრამა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ბეჯითი ბრძოლა მშვიდობიანი შეჯიბრების გზებზე სსრ კავშირის იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადასაწყვეტად, რომ უმოკლეს ისტორიულ ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ეგებება რა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, კომუნისტური პარტია მთელ ხალხს აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის, კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულების შესახებ. მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური მხარდაჭერით პარტიამ განახორციელა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განზრახული რეორგანიზაცია და კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიყიდვა ერთ რიგში დგას მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს განხორციელდა, აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებთან და უშუალოდ გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მითითებებიდან, რომ შეუნელებელი ენერგიით განვაგრძოთ მუშაობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. იბრძვის რა ყრილობის ამ მითითებათა შესრულებისათვის, საბჭოთა ხალხმა დიდი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობის განვითარებაში და ახლა გაშალა ფართო მოძრაობა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. მოსახლეობისათვის სურსათისა და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მიზნის პრაქტიკული მიღწევა მუდამ იყო ჩვენი პარტიის პროგრამული ამოცანა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, დაამყარა რა მშრომელთა ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში, ისტორიაში პირველად გადაჭრა აგრარული საკითხი, მიწა გადასცა გლეხებს და დასაბამი მისცა სოფლის მეურნეობის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძვლებზე. საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე, იმ მომენტიდან, როცა საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობამ მიიღო დეკრეტი „მიწის შესახებ", კომუნისტურმა პარტიამ ამოცანად დაისახა სოფლის მეურნეობის აღმავლობა, წვრილი დაქსაქსული და ჩამორჩენილი გლეხური მეურნეობიდან მსხვილ განსაზოგადოებულ სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლა. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ლენინური პოლიტიკის განხორციელებისათვის კომუნისტური პარტიის მრავალი წლის შეუპოვარი მუშაობა წარმატებით დამთავრდა მისი სრული გამარჯვებით, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით.

სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც დამთავრდა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელება ახალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დიდი ნაბიჯი იქნება სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ეკონომიურად და პოლიტიკურად თანამედროვე კოლმეურნეობები მსხვილი სოციალისტური საწარმოები, სოფლად საბჭოთა წყობილების ურღვევი დასაყრდენი არიან. კოლმეურნეობათა კიდევ უფრო განმტკიცების ერთ-ერთი წყაროა პირველხარისხოვანი ტექნიკა, რომლითაც სულ უფრო დიდი რაოდენობით აიარაღებს ჩვენს სოფლის მეურნეობას სოციალისტური ინდუსტრია. კოლმეურნეობებში შრომისა და წარმოების სწორი ორგანიზაცია, თანამედროვე ტექნიკის უნარიანი გამოყენება — აი ის ძირითადი რამ, რაზეც დამოკიდებულია და რითაც განისაზღვრება ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება კომუნიზმის გზით. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ საკითხის საუკეთესო გადაჭრა ის იქნება, რომ კოლმეურნეობებს მივცეთ შესაძლებლობა თავიანთ ხელში ჰქონდეთ მთელი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და გამოიყენონ იგი საკოლმეურნეო წარმოების განვითარების ინტერესებისათვის, მთელი ხალხის ინტერესებისათვის.

კომუნისტური პარტიის დიდმა ბელადმა, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა საუკეთესო მასწავლებელი უწოდა ცხოვრებას. მან თქვა: „ჩვენ უნდა გავყვეთ ცხოვრებას, ჩვენ შემოქმედების სრული თავისუფლება უნდა მივანიჭოთ ხალხის მასებს" (თხზულებანი, ტომი 26, გვ. 303). ეს ლენინური მოთხოვნები ყოველთვის იყო, არის და იქნება გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი ჩვენი პარტიის მთელ საქმიანობაში, პარტიისა, რომელიც შემოქმედებითად იყენებს და ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ამსხვრევს ყველა დაბრკოლებას დიადი მიზნის გზაზე, ძლევს ყოველივე ჩამორჩენილსა და დრომოჭმულს, რაც კი ხელს უშლის საბჭოთა საზოგადოების წინსვლას კომუნიზმისაკენ. კოლმეურნეობისათვის ტრაქტორებისა და სხვა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიყიდვის განზრახული ღონისძიებანი და მტს-ების რეორგანიზაცია წამოაყენა ცხოვრების საარსებო მოთხოვნილებამ, ისინი კიდევ უფრო დიდ ასპარეზს ქმნიან იმისათვის, რომ სახელოვანმა კოლმეურნე გლეხობამ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აქტიური შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღოს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საბჭოთა ხალხი დამსახურებისამებრ სარგებლობს მსოფლიოში ნოვატორი ხალხის, შემოქმედი ხალხის სახელით. მას წილად ხვდა დიდი პატივი პირველს გაეკვლია ისტორიის უკვლევი გზები და აეშენებინა სოციალისტური საზოგადოება თავის ქვეყანაში. ახლა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, მტკიცედ მიდის წარმატებიდან წარმატებისაკენ. თავისი დიადი მიზნისაკენ იგი მიდის მოძმე ჩინელ ხალხთან, ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხებთან ხელიხელჩაკიდებული, პოულობს რა მთელი პროგრესული კაცობრიობის თანაგრძნობასა და მხარდაჭერას.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, აყენებს რა ამ თეზისებს, მოუწოდებს საბჭოთა ხალხს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის წინადადებათა განხილვასა და შემუშავებაში, რათა გამოინახოს ყველაზე სწორი გადაჭრა ამ საკითხისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

რედაქტორი პ. რატიანი.

უე 00665 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.